ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ
ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
19 ნოემბერი
1940 წ.
№ 268 (5969)
ფასი 10 კაპ.

სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი

მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება. კიდევ რამდენიმე დღე და საქართველოს კოლმეურნეობები შემოსავლის საბოლოო განაწილებას შეუდგებიან. ადგილებიდან მოდის სასიხარულო ცნობები მიმდინარე წელს მოწინავე კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის ზრდის შესახებ.

ორდენოსანი საქართველოს კოლმეურნეობებმა გმირული შრომით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წელს მოიპოვეს ახალი წარმატებანი მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში. მაგალითად, გორის კოლმეურნეობა „ბალ-ბოსტანმა“ წელს ჰექტარზე საშუალოდ 136,5 ცენტნერი ხილი მიიღო. ბათუმის რაიონის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 6.178 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით თითქმის სამმაგად გადააჭარბა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებულ პირობებს. იზრდება მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი. ბათუმის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ წელს 1.200.000 მანეთ შემოსავალს იღებს ნაცვლად შარშანდელი 715.545 მანეთისა. თბილისის რაიონის ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის 1940 წლის შემოსავალი ერთ მილიონს გადააჭარბებს. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობათა წლევანდელი ფულადი შემოსავალი სულ მცირე 28.674.276 მანეთი იქნება, შარშან კი მათი შემოსავალი 23.863.149 მანეთს შეადგენდა. ასევე თვალსაჩინოდ იზრდება თელავის და მახარაძის რაიონების კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი.

მოსავლის და შემოსავლის განაწილება ფრიად პასუხსაგები საქმეა. შემოსავლის სწორად განაწილება კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდის მნიშვნელოვანი პირობაა. მთელი მუშაობა იმნაირად უნდა წარიმართოს, რომ საკოლმეურნეო მოსავლის და შემოსავლის განაწილებისას კოლმეურნეებმა უპირველეს ყოვლისა იზრუნონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ აყვავებისათვის. ლენინ-სტალინის დიადი პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი **სტალინი** ყოველდღიურად ზრუნავენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის აყვავებისათვის. ამ სტალინური მზრუნველობის შედეგია კერძოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ჰექტარობრივი პრინციპი, რომლის დიადი ძალა წელს იგემეს კოლმეურნეობებმა. ამ წესს შედეგად მოყვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების უფრო ორგანიზებულად ჩატარება, საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოება.

კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების ამოცანა მოითხოვს უდიდეს ზრუნვას საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ აღმავლობისათვის, რადგან კოლმეურნეობა, საარტელო მეურნეობა — ეს კოლმეურნეთა შეძლებულობის ძირითადი წყაროა.

საკოლმეურნეო მოსავალი და შემოსავალი უნდა გავანაწილოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად დაცვის საფუძველზე. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებაში ნათქვამია: „არტელის შემოსავლის განაწილება წევრებს შორის ხდება მხოლოდამხოლოდ არტელის თვითეული წევრის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის მიხედვით“. მაგრამ შემოსავლის განაწილების ამ ურყევ კანონს ზოგან არ იცავენ. მაგალითად, თელავის რაიონის სოფ. ზემო-ხოდაშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 65 ცენტნერი ხორბალი ავანსად გასცეს ისე, რომ კოლმეურნეთა შრომა-დღეების რაოდენობას ანგარიში არ გაუწიეს. კოლმეურნე მოსე მახუტაშვილს, რომელსაც მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე გამომუშავებული ჰქონდა 106 შრომადღე, ავანსად მისცეს 98 კილოგრამი ხორბალი, კოლმეურნე შაქრო ხამხამაძეს კი 248 შრომადღეზე მხოლოდ 18 კილოგრამი. ნატურალური ავანსების გაცემის ასეთი ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკა ძირშივე უნდა აღვკვეთოთ.

საკოლმეურნეო შემოსავალი უნდა განაწილდეს მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობა შეასრულებს ყველა თავის ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე და გამოჰყოფს საზოგადოებრივ ფონდებს — სათესლე და საფურაჟო, სადაზღვევო სათესლე, სასურსათო სადაზღვევო, დახმარების ფონდებს, ისე როგორც ამას ითვალისწინებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღებისა და დამზადების შესახებ“.

საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად განაწილების აუცილებელი პირობაა კოლმეურნეობებში აღრიცხვის მოწესრიგება. ამისათვის საჭიროა კოლმეურნეობებში წინასწარ შესდგეს მოსავლის განაწილების სქემა, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნას კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე, უნდა დაზუსტდეს კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეები, გაცემული ნატურალური და ფულადი ავანსები.

უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომადღეების აღრიცხვის მხრივ ბევრგან აშკარად ცუდი მდგომარეობაა. თელავის რაიონის სოფ. ქვემო-ალვანის კოლმეურნეობა „წითელ თუშეთში“ მწყემსების მიერ წელს გამომუშავებული შრომადღეები აღრიცხული არ არის. ასეთ ფაქტებს ვხვდებით ამავე რაიონის ზემო-ხოდაშენის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“, სოფ. ფშაველის XVIII პარტყრილობის და სოფ. ახმეტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში. აღრიცხვის დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ბევრგან სარევიზიო კომისიები თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგანან. სარევიზიო კომისიები იშვიათად ეცნობიან კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, დროულად არ ამჟღავნებენ შრომადღეების დაკლებისა და შრომის წიგნაკებში ჩაუწერლობის ფაქტებს. სარევიზიო კომისია კოლმეურნეობის ფხიზელი თვალია და მას მართებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საზოგადოებრივ მეურნეობას.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საკოლმეურნეო მოსავალი და ფულადი შემოსავალი განაწილებულ იქნას ისე, როგორც ამას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, საკოლმეურნეო ცხოვრების ეს უმაღლესი კანონი. საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად განაწილება მძლავრ სტიმულს შეჰქმნის კოლმეურნეთა შორის საზამთრო და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის.

პარტიის რაიკომების, რაისაბჭოების აღმასკომების, რაიმიწგანებისა და მტს-ების გადაუდებელი ამოცანაა დაეხმარონ კოლმეურნეობებს შემოსავლის დროულად და სწორად განაწილებისათვის.

სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მეორე მოწინავე სამკერვალო კორპუსის ინიციატივით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სტალინური კონსტიტუციის დღის საუკეთესოდ აღსანიშნავად.

კორპუსის კოლექტივმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა წინაოქტომბრო შეჯიბრებაში. კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ოქტომბერში გეგმის გადამეტებით გამოეშვა 5 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, ფაქტიურად კი 14 ათასზე მეტი გამოუშვა. ახალ ვალდებულებაში ჩაწერილია, რომ ნოემბერში გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 12 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 2 პროცენტით გაიზრდება.

— ჩვენი კოლექტივის ერთერთ ძირითად ამოცანად გადაიქცა ბრძოლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულების შესრულებისათვის, — ამბობს კორპუსის უფროსი, ორდენოსანი ამხ. გ. არუთინოვი. — საბჭოთა ადამიანების ჩვეულებად იქცა სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში ახალ-ახალი გამარჯვებებითა და მიღწევით შეხვდნენ დიად რევოლუციურ დღესასწაულებს.

მეორე სამკერვალო კორპუსის კოლექტივის მოწოდებას ფაბრიკის მრავალი სტახანოველი გამოეხმაურა. მესამე კორპუსის სტახანოველმა ი. ოროჯანდოვმა ვალდებულება იკისრა 265 პროცენტით შეასრულოს ნოემბრის გეგმა. პირველი კორპუსის სტახანოველი ანა დვორცოვა გეგმის 160 პროცენტით შესრულებისათვის იბრძვის. (საქდესი).

სსრ კავშირის ისტორიის თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა ალბომი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პოლიტგამომცემლობა გამოსცემს „სსრ კავშირის ისტორიის თვალსაჩინო სახელმძღვანელოთა ალბომს“. ალბომი დაამზადეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული ორგანიზატორების უმაღლესი სკოლის ისტორიულ-პარტიული კაბინეტის მეცნიერმა თანამშრომლებმა. მთელი გამოცემა გათვალისწინებულია 8 გამოშვებად. ისინი შეიცავენ ჩვენი ქვეყნის ისტორიას უძველესი ხანიდან წარსული საუკუნის დამლევამდე.

უკვე გამოვიდა ალბომის პირველი ხუთი გამოშვება.

ლევ ტოლსტოის ხმა

საკავშირო რადიოკომიტეტის ბგერწერის ფაბრიკა შეუდგა ლ. ნ. ტოლსტოის ცოცხალი სიტყვის აღდგენას. ფაბრიკის ლაბორატორიაში მოტანილია 10 ცვილის ლილვაკი და ფონოგრაფი შემდეგი წარწერით: „ლევ ტოლსტოის ტომას ალვა ედისონისაგან“.

ეს ფონოგრაფი ლევ ნიკოლოზის-ძემ საჩუქრად მიიღო ცნობილი ამერიკელი გამომგონებლის ედისონისაგან, როდესაც ლ. ტოლსტოი 80 წლისა იყო. ლევ ნიკოლოზის-ძე დიდად დაინტერესა ახალმა გამოგონებამ და თავის პრაქტიკულ მუშაობაში გამოიყენა. შენახული ცვილის ლილვაკები შეიცავენ მწერლის მიმართვებს თავისი მრავალრიცხოვანი კორესპონდენტებისა და მეგობრებისადმი, ისინი გადმოგვცემენ მწერლის კითხვას, ლაპარაკს, ნაამბობს.

16 ნოემბერს დაიწყო ტოლსტოის ხმის ჩაწერა ტონფილმზე.

16 ნოემბერი (საქდესი).

საბჭოთა კავშირში

სასადილოები სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთათვის.

სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუდგა სასადილოების მოწყობას სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთათვის. სასადილოებისათვის შენობებს გამოჰყოფენ სამრეწველო საწარმოები შრომითი რეზერვების სამმართველოს ადგილობრივი ორგანოების მითითებით. სასადილოები უმთავრესად გაიხსნება უშუალოდ მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლებში, სასწავლებლებსა და სკოლებში.

მოსწავლეთა კვება მოეწყობა უფასოდ — შრომითი რეზერვების სამმართველოს ორგანოების მიერ გაცემული აბონემენტების მიხედვით.

ბათუმელ მენავთეთა გამარჯვება

ბათუმი, 18 ნოემბერი (საქდესი). ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა, რომლებიც ჩაბმული არიან მენავთეთა სრულიად - საკავშირო შეჯიბრებაში, ჩინებული მაჩვენებლები მოიპოვეს. ყველა სახის ნავთპროდუქტების გამოშვების 10 თვის გეგმა ქარხანამ გადამეტებით შეასრულა. ქარხნის № 11-13 მოწინავე დადგმულობამ (დადგმულობის უფროსი ამხ. ესიტაშვილი) ვადაზე 55 დღით ადრე შეასრულა გამჭვირვალე პროდუქტების გამოშვების წლიური გეგმა. დადგმულობამ გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 62.475 ტონა გამჭვირვალე ნავთპროდუქტები და 5.500 ტონაზე მეტი ბენზინი.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა, რომ წლიურ საწარმოო გეგმას შეასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წლისთავისათვის — 12 დეკემბრს.

გეგმის 115 პროცენტი

მაიაკოვსკი, (საქდესი). მაიაკოვსკის რაიონმა მესამე გამოკვებიდან მიღებული აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა გადაჭარბებით—115 პროც. შეასრულა.

ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის შედეგად მაიაკოვსკელებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. 70 წლის მეაბრეშუმემ ანეტა გუმბერიძემ 11,5 გრამი თესლიდან 46 კგრ. მაღალხარისხოვანი თესლი ჩააბარა სახელმწიფოს, სტახანოველმა ქალებმა ტასო და ქეთო ჰრელაშვილებმა აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა 183—226 პროც. შეასრულეს. ასეთივე წარმატება აქვთ ლიდა ზეიადაძესა და რაიონის სხვა მეაბრეშუმე სტახანოველებს.

ხორბლეულის თესვა დაამთავრეს

ჭიათურა, 18 ნოემბერი (საქდესი). ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებმა ხორბლეულის საშემოდგომო თესვა ვადაზე 5 დღით ადრე — 102,5 პროცენტით შეასრულეს.

თესვის გეგმა შესრულებულია

თბილისის რაიონი, 18 ნოემბერი (საქდესი). თბილისის რაიონმა 18 ნოემბრისათვის შეასრულა თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 9.500 ჰექტარის ნაცვლად, დათესილია 9.505 ჰექტარი.

თესვა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ნაძალადევის სტალინის სახელობის, ლისის ბაქრაძის სახელობის და კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობებმა. პირველმა გეგმის გადამეტებით დასთესა 21 ჰექტარი, მეორემ — 12, ხოლო კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ — 17 ჰექტარი.

საქართველოს მშრომელთა დელეგაცია უკრაინაში

კიევი, 18 ნოემბერი (საქდესი). გუშინ „დინამოს“ სტადიონზე საქართველოს სსრ დელეგატები დაესწრნენ საბჭოთა კავშირის პირველობაზე გათამაშებულ მატჩს მოსკოვის „დინამოს“ და „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს შორის. შეხვედრა დინამოელებმა მოიგეს. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ რიგისა და კიევის დინამოელები. რიგის დინამოელებმა, განსაკუთრებით თავდასხმამ, თამაშის მაღალი ტექნიკა გამოამჟღავნა. თამაში დამთავრდა კიევის სასარგებლოდ ანგარიშით 4:3.

მატჩს დაესწრნენ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. **ხრუშჩოვი** და ამხ. **ბურმისტენკო,** უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **კორნიეცი.**

აქედან რიგის დინამოელები მიემგზავრებიან თბილისს, სადაც შეხვდებიან თავიანთ თანამეკლუბეებს.

○

უკრაინის რაიონებში მოგზაურობიდან კიევში დაბრუნდა საქართველოს მშრომელთა დელეგატების ყველა ჯგუფი.

17 ნოემბერს აქ ჩამოვიდნენ დელეგაციები სტალინოდან, დნეპროპეტროვსკიდან და დონბასიდან. დნეპროპეტროვსკში დელეგატებმა დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხანა. დელეგატები აღტაცებით ლაპარაკობენ უკრაინის უდიდესი მეტალურგიული ქარხნის — დნეპროძერჟინსკის ქარხნის შესახებ.

დელეგატთა ჯგუფმა მოიარა ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონისა და დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვის რაიონის კოლმეურნეობები. სტუმრებმა დაათვალიერეს აგრეთვე დნეპრჰესი.

17 ნოემბერს ყველა დელეგატი ლვოვს მიემგზავრება.

ლვოვში

ლვოვი, 18 ნოემბერი (**ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.**). საქართველოს დელეგაციამ, რომლის წევრებიც წასული იყვნენ დონბასში, ზაპოროჟიეში, ოდესაში, ტალალაევკასა და ხარკოვში, თავი მოიყარა კიევში, საიდანაც დასავლეთ უკრაინაში — ლვოვის ოლქში გაემგზავრა. გზაში დელეგატები ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს ნახულის შესახებ, უამბობდნენ შეჯიბრების შედეგებზე. კიევ-ლვოვის ჩქარი მატარებელი მიგვაქროლებდა უკრაინის ლამაზ ველებზე. 18 ნოემბერს დილით მან გადაიარა ყოფილი საზღვარი, დელეგატები გამოდიოდნენ ვაგონებიდან, სიხარულით მიესალმებოდნენ ახალ საბჭოთა მიწა-წყალს. მატარებელი კი მიჰქროდა გლეხთა გამიჯნული ნაკვეთებით დასერილ მინდვრებზე. აქ ჯერ კიდევ იშვიათია კოლმეურნეობათა ფართო მასიური მინდვრები. პეტრე კაპანაძე ჩაერია კახელების საუბარში და დაიწყო ქართული კოლმეურნული სიმღერა. მომღერლებს შეუერთდნენ ჩვენი მსახიობები, მწერლები. გაისმის სიმღერა დიდ სტალინზე.

ვაგონის ფანჯრებში მოსჩანან კოსტიოლები, ოსადნიკების სახლები, კარგი მეზონინები, ღარიბული გლეხური ქოხები, ყველგან გახურებული მუშაობაა: აშენებენ ბაღებს, გაჰყავთ გზები, სწარმოებს სოფლების კეთილმოწყობა.

სამ საათსა და ოცდაათ წუთზე მატარებელი ლვოვის ვაგზალს მიადგა. ვაგზალი სადღესასწაულოდ მორთულია დროშებით, გირლიანდებით, ლოზუნგებით უკრაინულ, პოლონურ, რუსულ და ქართულ ენებზე. დელეგაციას ვაგზალზე შეხვდნენ ლვოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, მუშები, მოსამსახურეები. დელეგატები მიიწვიეს ყვავილებით მორთულ ტრიბუნაზე. დელეგაციის ჩასვლისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა ლვოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ერემენკომ. შემდეგ დელეგაციას საოლქო კომიტეტის და საოლქო აღმასკომის სახელით მიესალმა ამხ. ტიმჩენკო. ლვოვის მეცნიერ მუშაკთა სახელით გამოვიდა ლვოვის ფრანკოს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი სიმოვიჩი. სიტყვა ეძლევა ვანდა ვასილევსკაიას. მხატვრული სახეებით აღსავსე თავის მგზნებარე სიტყვაში იგი პოლონურ ენაზე მიესალმება ქართველი ხალხის წარგზავნილთ. მე ბედნიერება მაქვს უკრაინელების, პოლონელების, ებრაელების, ყველა ახალ თავისუფალ მოქალაქეთა სახელით მოგესალმოთ თქვენ, იმ ხალხის წარმოგზავნილთ, რომელმაც კაცობრიობას დიდი სტალინი მისცა. ჩვენს თავზე ფრიალებს დროშა ახალი სამყაროსი, სადაც კაშკაშებს მზე სტალინური კონსტიტუციისა, რომელმაც განაქარვა ჩაგრული ხალხის ტანჯვა და ტკივილები. სულით და გულით მოგესალმებით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — ასე დაამთავრა მან თავის სიტყვა.

ლვოვის ლესია უკრაინკას სახელობის უკრაინული დრამის თეატრის სახელით დელეგაციას მიესალმა რეჟისორი ბლავაცკი. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ა. ვასაძე, რომელმაც თავისი სიტყვა დაამთავრა ხალხთა მეგობრობის, დიდი სტალინის, კომუნისტური პარტიის პატივსაცემი შეძახილებით უკრაინულ და ქართულ ენებზე.

ვაგზლის მოედანზე სტუმრების შესახვედრად თავი მოეყარათ ლვოვის ათასობით მცხოვრებლებს. გაისმოდა შეძახილები წითელი არმიის, დიდი სტალინის, ხალხთა მეგობრობის პატივსაცემად. ქუჩებში, რომლებითაც სტუმრების ავტომობილები სასტუმროსაკენ მიემართებოდნენ, ლვოვის მშრომელები მიესალმებოდნენ დელეგაციას.

მოსკოვის ისტორიული ადგილები

მოსკოვის საქალაქო აღმასკომის ისტორიულ-რევოლუციური ძეგლების დაცვის რწმუნებულის სამმართველომ სახელმწიფო აღრიცხვაში გაატარა 100-ზე მეტი ისტორიული ადგილი, რომლებიც დაკავშირებულია ქ. მოსკოვში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

მთელი რიგი შენობების ფასადებზე გაკრულია მემორიალური დაფები, რომლებზედაც გამოსახულია ლენინის ბრინჯაოს ბარელიეფები. კერძოდ, მემორიალური დაფები გაკრულია არბატის მახლობლად მდებარე პატარა სახლის ფასადზე, სადაც 1897 წლის 18-დან 22 თებერვლამდე, ციმბირში გადასახლების წინ, ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი თავის დედა მარიამ ალექსანდრეს-ასულთან ერთად. მემორიალური დაფა გაკრულია აგრეთვე ლენინური კომკავშირის თეატრის შენობაზე, სადაც 1920 წლის 2 ოქტომბერს ვლადიმერ ილიას-ძემ რკკკ III სრულიად-რუსეთის ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა კომკავშირის ამოცანების შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 18 ნოემბერი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა გადმოგვცემს შემდეგს ცნობას: „16 ნოემბერს, ღამით, და 17 ნოემბერს, დღისით, გერმანიის ავიაცია წარმატებით უშენდა ყუმბარას ლონდონსა და სამხრეთ და ცენტრალურ ინგლისში მდებარე სამხედრო მნიშვნელობის ობიექტებს. ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად ჩავძირეთ სავაჭრო გემი და სანაომო გადამღობი. მეორე სავაჭრო გემი მძიმედ დავაზიანეთ.

ინგლისის თვითმფრინავებმა 17 ნოემბერს, ღამით, ყუმბარა ჩამოჰყარეს დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ პუნქტში. გუშინ ლა-მანშის თავზე გამართული საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა ინგლისის 3 თვითმფრინავი. გერმანიის ავიაციამ 7 თვითმფრინავი დაჰკარგა“.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 18 ნოემბერი. ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ არახელსაყრელი ატმოსფერული პირობების მიუხედავად, ინგლისის ავიაცია 16 ნოემბერს, ღამით, კვლავ დაესხა თავს ჰამბურგის სამხედრო ობიექტებს. ქალაქს რამდენიმე საათის განმავლობაში მრავალი ტონა ყუმბარა დავაყარეთ. განსაკუთრებით ძლიერ დავუშინეთ ყუმბარა ცენტრალურ სასაქონლო სადგურს, დიდ ნავთსაწმენდ ქარხნებს, ალტონის ელექტროსადგურს (ქალაქის გარეუბანი), ფირმა „ბლომ და ფოსის“ გემსაშენებსა და ქარხანას.

სანაპირო თავდაცვის ავიაცია რამდენჯერმე დაესხა თავს მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე აეროდრომებს. ყუმბარების აფეთქების შედეგად მრავალ ადგილას ხანძარი გაჩნდა. ბომბარდირების ერთერთი ობიექტი იყო დიუნკერკი და ანტვერპენის დოკები.

ინგლისში გუშინ მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა 11 თვითმფრინავი, ინგლისისამ—4 ავიაგამანადგურებელი. მაგრამ ინგლისის 3 თვითმფრინავის მფრინავები გადარჩნენ.

ლონდონი, 18 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ავიაციამ 17 ნოემბერს, ღამით, ყუმბარა დაუშინა რურის ოლქის მთელ რიგ ობიექტებს.

დღეს, დილა-ადრიან, ყუმბარა დავუშინეთ გერმანიის ქვემეხების პოზიციებს გრი ნეს კონცხთან. ინგლისის სანაპიროდან ჩანდა, თუ როგორ გასკდა ყუმბარები.

არსებული ცნობებით, უკანასკნელ კვირის განმავლობაში, რაც 16 ნოემბერს დამთავრდა, ინგლისში მომხდარი საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 64 და იტალიის 13 თვითმფრინავი. (საქდესი).

საბერძნეთ-იტალიის ომი

ათენი, 18 ნოემბერი. საბერძნეთის არმიის სარდლობამ გუშინ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა:

„მთელ ფრონტზე როგორც ეპირში, ისე კორჩის აღმოსავლეთით მდებარე მთიან რაიონში, ბრძოლა სწარმოებდა.

წამოვიყვანეთ ახალი ტყვეები. ხელთ ჩავიგდეთ ზარბაზნები და მორტირები და სხვადასხვაგვარი საომარი მასალა. მტრის წინააღმდეგობისა და მისი ავიაციის მოქმედების მიუხედავად, ჩვენ დავიკავეთ მაღლობები, რომლებსაც დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვთ.

მოწინააღმდეგის ავიაციამ ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები დაუშინა საბერძნეთის შიდა რაიონებში მდებარე ქალაქებსა და სოფლებს. მაგრამ ამას მსხვერპლი და ნგრევა არ გამოუწვევია“.

ბელგრადი, 18 ნოემბერი. გაზეთი „ვრემე“ გადმოგვცემს, რომ საბერძნეთში გამოქვეყნდა სამხედრო მინისტრის ბრძანება ყველა საზღვაო რადიოტელეგრაფისტის მობილიზაციის შესახებ. მობილიზებულნი შესაკრებ პუნქტებში 11 საათის განმავლობაში უნდა გამოცხადდნენ.

გამორკვეულია, რომ იტალიის თვითმფრინავების მიერ საბერძნეთის ქალაქების ბომბარდირების დროს ჩამტვრეული მინების ნამსხვრევებისაგან მრავალი მცხოვრები დაშავდა.

რომი, 18 ნოემბერი. იტალიის სარდლობა იუწყება, რომ გუშინ საბერძნეთის ფრონტზე კონიცის რაიონში, მოსპობილ იქნა მტრის კავალერიის ერთი შენაერთი. იტალიის ავიაციამ განმეორებით დაუშინა ყუმბარა კალაბაკისა და კონიცის ზონებს და დააზიანა ხიდები, გზები, თავდაცვის ნაგებობანი და ბარაკები. ყუმბარა დავუშინეთ აგრეთვე კორფუს კუნძულს და კრეტის კუნძულისა და ალექსანდრიის საზღვაო ბაზებს. იტალიის ორი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

ჩრდილოეთ აფრიკაში ყუმბარა დავუშინეთ რკინიგზებს ფუკა-ედ დაბასთან და მერსა-მატრუხთან.

მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს ქალაქ ბენგაზს, სადაც მოკლულია ერთი ქალი და დაჭრილია 6 კაცი. დაზიანებულია საცხოვრებელი სახლები. ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბარდიაზე უშედეგოდ დამთავრდა (საქდესი).

ი. ა. ჯავახიშვილი

18 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე და 45 წუთზე, ქ. თბილისში უეცრად გარდაიცვალა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი.**

ი. ა. ჯავახიშვილის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით შექმნილია აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის დაკრძალვის მომწყობი კომისია ამხ. **გ. სტურუას** თავმჯდომარეობით და ამხ. **ვ. ეგნატაშვილის, ი. თავაძის, ს. ჯანაშიას, შ. დადიანის, ი. ბერიტაშვილის, ბ. კიზირიას, ა. ხარაძისა** და **ლ. გორგიძის** შემადგენლობით.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაადგინა აკად. ი. ა. ჯავახიშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები გაიღოს სახელმწიფომ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი მეცნიერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

უეცრად გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება უდიდესი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი იუწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ერთერთი გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

უეცრად გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება უნივერსიტეტის ერთერთი ფუძემდებლის, საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის პროფესორ აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი იუწყება საბჭოთა ისტორიული მეცნიერების უდიდესი მოღვაწის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის წევრის აკადემიკოს

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას.

ანასტასია ნიკოლოზის-ასული, ნათელა, კახა და ალექსანდრე ჯავახიშვილები იუწყებიან მეუღლისა და მამის

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის

გარდაცვალებას.

საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე

აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების ერთერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. ორმოც წელზე მეტს გრძელდებოდა მისი ნაყოფიერი სამეცნიერო-საგამოკვლევო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა. მთელი თავისი ძალები და დაუღალავი ენერგია ი. ა. ჯავახიშვილმა მოწინავე მეცნიერების, სოციალისტური სამშობლოს სამსახურს მოანდომა.

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი დაიბადა თბილისში 1876 წელს. საშუალო განათლება მიიღო თბილისის 1-ლ გიმნაზიაში. 1895 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ი. ა. ჯავახიშვილი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე.

1899 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ი. ა. ჯავახიშვილი დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1902 წელს იგი ნ. მართან ერთად პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა არაბეთში იქ დაცული ქართული ხელნაწერების აღსაწერად. მას შემდეგ ი. ა. ჯავახიშვილი ბრწყინვალედ ამუშავებს საქართველოს მეცნიერული ისტორიის, აგრეთვე სომხეთისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის პრობლემებს.

ზედმიწევნით იცოდა რა კლასიკური ენები (ლათინური, ბერძნული) და მრავალი აღმოსავლური ენა (ირანული, სირიული, ძველი სომხური, ახალი სომხური), რომ აღარა ვთქვათ რა ევროპულ ენებზე, ი. ა. ჯავახიშვილი თავის სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობაში არაჩვეულებრივად ფართო და მრავალფეროვან მასალას იშველიებდა.

მუშაობდა რა პირველწყაროებზე, ი. ა. ჯავახიშვილმა დასწერა შესანიშნავი შრომა — „ისტორიის ამოცანები, წყაროები და მეთოდები ძველად და ახლა“ (ოთხ წიგნად: „ძველი ქართული ისტორიული დამწერლობა“, „ქართული ნუმიზმატიკა და მეტროლოგია“, „ქართული პალეოგრაფია“, „ქართული დიპლომატიკა“).

ცოდნისმოყვარემ, დაუღალავმა და ახალი წყაროებისა და ახალი ფაქტიური მასალის ძიებაში შეუპოვარმა, მან მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოახდინა. მან აღმოაჩინა უძველესი ქართული მატიანეები, ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები, რომელთა აღმოჩენამაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში მთელი ეპოქა შეადგინა.

ჰქონდა რა უდიდესი და ორიგინალური ფაქტიური მასალა, ი. ა. ჯავახიშვილმა დაამუშავა ქართველი ხალხის — საბჭოთა კავშირის ერთერთი უძველესი ხალხის ისტორია. ამ მუშაობის შედეგი იყო კაპიტალური შრომები, რომელთა მნიშვნელობაც განსაკუთრებით დიდია და რომლებიც დიდხანს დარჩებიან ნიადაგსახმარ წიგნებად ყველასათვის, ვინც კი საქართველოს ისტორიასა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაზე მუშაობს. საქართველოს ისტორიას ი. ა. ჯავახიშვილი ამუშავებდა განუყრელ კავშირში მეზობელი ხალხების ისტორიასთან. იგი გაღრმავებულ მუშაობას ეწეოდა საქართველოს მეზობელ სახელმწიფოთა ისტორიაზე. მაგალითად, სომხეთის ისტორიას მან უძღვნა ოთხი ვრცელი მონოგრაფია, რომლებსაც უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ.

ი. ა. ჯავახიშვილის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ბრწყინვალედ იფურჩქნება საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ი. ა. ჯავახიშვილი იყო თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთი ორგანიზატორი და 1926 წლამდე მისი რექტორი. მოკლე დროის განმავლობაში უნივერსიტეტი მსხვილ სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა. ი. ა. ჯავახიშვილმა უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებებისათვის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრების გამოზრდის საქმეში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით ი. ა. ჯავახიშვილი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1938 წელს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა იგი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1939 წელს ი. ა. ჯავახიშვილი არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა ტანსაცმლის ფორმა.

რკინიგზის სასწავლებლების მოსწავლეთა ტანსაცმლის ფორმა.

ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია) სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში

ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში მიღებულია 2.449 კაცი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა შრომითი რეზერვების სამმართველომ 16 ნოემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით შეაჯამა სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ახალგაზრდობის გაწვევის (მობილიზაციის) შედეგები.

სულ რესპუბლიკის ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში მიღებულია 2.449 კაცი, გასაწვევი საერთო კონტინგენტი კი 4.700 კაცს შეადგენს. კერძოდ, სახელოსნო სასწავლებლებში ჩარიცხულია 1259 კაცი, რკინიგზის სასწავლებლებში — 436 კაცი და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში — 754.

თბილისის სახელოსნო სასწავლებლებში 16 ნოემბრისათვის მიღებულია 693 კაცი და რკინიგზის სასწავლებლებში — 303 კაცი, გაწვევის საერთო კონტინგენტი კი თბილისში 1400 კაცს შეადგენს.

კოლმეურნე ახალგაზრდობიდან ამ სკოლებში ჩარიცხულია 1298 კაცი, ქალაქის ახალგაზრდობიდან კი — 1151 კაცი.

ახალ სკოლებში მეტწილად ჩარიცხული არიან ახალგაზრდები, რომლებმაც განცხადება შეიტანეს ნებაყოფლობით მიღებაზე. ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში მიღებულ 2.449 კაცთაგან მოხალისეა 2.393, გაწვეული კი მხოლოდ 56.

16 ნოემბერს გაწვევა დამთავრდა ქალაქ ქუთაისსა და ჭიათურაში, ზუგდიდის, ორჯონიკიძის, აბაშის, თბილისის, წალკის, ზესტაფონის, საჩხერის, ყვარლის, ყაზბეგის, მცხეთის, ლაგოდეხის, ქვემო-სვანეთის, ქედისა და ხულოს რაიონებში. თბილისში გაწვევა დამთავრებულია ორჯონიკიძის სახელობისა და ბერიას სახელობის რაიონებში.

ახალგაზრდობის გაწვევა რესპუბლიკაში გრძელდება. (საქდესი).

უდიდეს სიხარულს გამოსთქვამენ

(თბილისის კიროვის რაიონი)

თბილისის კიროვის სახელობის რაიონში სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში ჩასარიცხი ახალგაზრდობის კონტინგენტი განსაზღვრულია 220 კაცით. 15 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე განცხადებები სასწავლებლებში გაგზავნის შესახებ 400-ზე მეტმა ახალგაზრდამ შემოიტანა.

რაიონის გამწვევმა კომისიამ 5 დღის განმავლობაში ახალ სასწავლებლებში 130 ახალგაზრდა ჩარიცხა.

ა. მანუელიანი თავისუფლად ლაპარაკობს რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. მისი დიდი ხნის სურვილი — იყო ხელოსნად გახდომა. სურვილი სინამდვილედ იქცა. ა. მანუელიანი კომისიამ ჯანმრთელად სცნო და სახელოსნო სასწავლებელში ჩარიცხა.

სახელოსნო სკოლაში ჩარიცხულთა შორის არის ა. ბაჭიევი. მან მშვენივრად იცის სომხური და ქართული ენები. სახელოსნო სასწავლებელში ჩარიცხული არიან აგრეთვე კ. ვილიამი, გ. მათეჭანი და სხვები.

ახალ სასწავლებლებში ჩარიცხულნი უდიდეს სიხარულს გამოსთქვამენ და აღფრთოვანებით მოელიან სწავლის დაწყებას.

ემზადებიან მოსწავლეთა მიღებისათვის

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 18 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე თბილისის კიროვის სახელობის რაიონში იხსნება სახელოსნო სასწავლებელი. სასწავლებელში მისაღებია 425 ახალგაზრდა. აქედან 188 ადგილი რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს დაეთმობა.

სასწავლებლისათვის განკუთვნილია კამოს სახელობის ყოფილი დაზგათმშენებელი ქარხნის პირველი, მეორე და მესამე სართული. სასადილოებისათვის გამოყოფილია 2 ოთახი, კლასებისათვის —8, სამკითხველოსათვის — 1.

აღნიშნული სასწავლებლის დირექტორად დანიშნულია ამხ. გ. გორგაჯანოვი, სასწავლო ნაწილის გამგედ — ამხ. შ. ვარსიმაშვილი. სასწავლებლისათვის გამზადებულია სახელოსნო სასხმო, სამჭედლო და სახარატო საამქროებით.

ამჟამად გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლის რემონტი, რაც 20 ნოემბრამდე დამთავრდება.

ს. მერკვილაძე

გამწვევმა კომისიამ მუშაობა დაამთავრა

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

ახალგაზრდა კოლმეურნე სოკრატ ბელეშაძე საექიმო კომისიამ სახელოსნო სასწავლებელში გაგზავნისათვის ვარგისად სცნო. ის ყოჩაღი ახალგაზრდაა, მიმდინარე წელს 130 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

— რომელ სასწავლებელში გსურთ წასვლა? — ეკითხება მას გამწვევი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ქ. მანწკავა.

— გთხოვთ გამგზავნოთ რკინიგზის სასწავლებელში, პატარაობიდანვე ორთქლმავალი მიზიდავს, გარწმუნებთ კრივონოსელი მემანქანე გავხდები. კომისიამ ს. ბელეშაძე რკინიგზის სასწავლებელში ჩარიცხა.

გამწვევი კომისიის წინაშე წარსდგა ვილოდია ბურძგლა და შემოსვლისთანავე კომისიას აუწყა, რომ ის 1938 წელს გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა მატარებლის გადარჩენისათვის ფულადი საჩუქრით დააჯილდოვა.

— ამ ჯილდომ მე უსაზღვროდ აღმაფრთოვანა, ახლა მოვედი თქვენთან თხოვნით ჩამრიცხოთ რკინიგზის სასწავლებელში, რათა ღირსეულად ვემსახურო ჩვენს სოციალისტურ ტრანსპორტს.

კომისიამ ისიც ჩარიცხა რკინიგზის სასწავლებელში.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ჩარიცხულ იქნენ: ი. გოგეშვილი, ივ. კალანდარიშვილი და სხვ.

16 ნოემბერს გამწვევმა კომისიამ მუშაობა დაამთავრა და საქარხნო-საფაბრიკო-სწავლების სკოლებსა და რკინიგზის სასწავლებელში ჩარიცხა 25 ახალგაზრდა.

ლანჩხუთის რაიონი ახალ სასწავლებლებში ჯანსაღ და ენერგიულ ახალგაზრდებს გზავნის.

გამწვევ კომისიაში შემოსული იყო 200-მდე განცხადება.

ვ. მექვაბიშვილი

გაწვეულია 40 ახალგაზრდა

წითელწყარო (ტელეგრაფით საკ. კორ.). სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ახალგაზრდობის გამწვევმა კომისიამ მუშაობა დაამთავრა.

კომისიამ სამ სხდომაზე განიხილა 106 განცხადება, მაგრამ ყველას სურვილის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა, რადგან განაწილების თანახმად რაიონიდან გაწვეულ უნდა იქნას 40 კაცი. კომისიამ 20 ახალგაზრდა კოლმეურნე გაგზავნა სახელოსნო სასწავლებელში, ხოლო 20 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში. გაწვეულთა შორის არის 7 კლასის განათლების მქონე რვა კომკავშირელი; მათგან მიხეილ პრელაშვილი, იოსებ ხალაური და ბექან ალადაშვილი სწავლის ფრიადოსნები არიან. სახელოსნო სასწავლებელში ჩარიცხულია სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის წევრი 16 წლის რაჟდენ გოგილაშვილი, რომელსაც წელს 10 თვის განმავლობაში 300 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

ვ. ტუხაშვილი

დე გოლის შტაბის ცნობა საფრანგეთის ეკვატორულ აფრიკაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 18 ნოემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გენერალ დე გოლის არმიის შტაბმა გუშინ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ გაბონის (საფრანგეთის ეკვატორული აფრიკა) მთელი ტერიტორია ახლა გენერალ დე გოლის განკარგულებაშია. ლიბრევილის კაპიტულაციის ორი დღის შემდეგ,—ნათქვამია კომუნიკეში, — გენერალ დე გოლის ჯარს დანებდა გაბონის მეორე ნავსადგური — პორტ-ჟანტილი.

იუგოსლავიის კომუნიკე

ბელგრადი, 18 ნოემბერი (საკდესი). იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტო შემდეგს კომუნიკეს გადმოგვცემს: „17 ნოემბერს, დაახლოებით დილის 4 საათზე, უცხოეთის თვითმფრინავები გამოჩნდნენ ქალაქ ბიტოლისა და კიჩევოს თავზე. იუგოსლავიის საზენიტო არტილერიისა და გამანადგურებელი თვითმფრინავების სწრაფი მოქმედების მეოხებით, უცხოეთის თვითმფრინავებმა მხოლოდ კიჩევოს მიდამოებში და ორი მეზობელი სოფლის მახლობლად შესძლეს ყუმბარების ჩამოყრა. თვითმფრინავები მაშინვე გაბრუნდნენ და იუგოსლავიის საჰაერო ზონას გასცილდნენ. მსხვერპლი არ არის. არის მხოლოდ უმნიშვნელო მატერიალური ზარალი“.

დალადიე, გამელენი და ბლიუმი საპყრობილეში ჩასვეს

ბერლინი, 18 ნოემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, საფრანგეთის იუსტიციის სამინისტრომ ბრძანება გასცა, რომ საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დალადიე, გენერალი გამელენი და ლეონ ბლიუმი საპყრობილეში იქნან გადაყვანილნი. დღემდე სამივე შაზერონის ციხე-დარბაზში იმყოფებოდა, ახლა კი საპყრობილეში გადაჰყავთ, სადაც უკვე ზის საფრანგეთის ავიაციის ყოფილი მინისტრი, გი ლა შამბრი. დალადიეს, გამელენისა და ბლიუმის დაპატიმრება და საპყრობილეში გადაყვანა, როგორც იუსტიციის სამინისტრო თავის ცნობაში აღნიშნავს, იმ გამოძიების შედეგია, რომელსაც საფრანგეთის უმაღლესი სასამართლო აწარმოებს.

მათ წაყენებული აქვთ ბრალდება, რომ ისინი არ ასრულებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, რომ მათ არ უფიქრიათ ნაციონალური თავდაცვისათვის და სხვ.

მდგომარეობა კოვენტრიში

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც კოვენტრიში (ინგლისი) იმყოფება, იუწყება, რომ, დღემდე ფეთქდება შენელებული მოქმედების გერმანული ყუმბარები. ქალაქში ისევ არ არის გაზი, ელექტროსინათლე და წყალი. ყველგან სჩანს მიმქრალი ხანძარი. კვების მოძრავი პუნქტები საჭმელს აწვდიან ქალაქის ათასობით მცხოვრებს, რომლებიც უსახლკაროდ დარჩნენ.

ჰამბურგის ბომბარდირება

ბერლინი, 18 ნოემბერი (საკდესი). გერმანული გაზეთი „ჰამბურგერ ფრემდენბლატი“ გადმოგვცემს, რომ ჰამბურგზე 15 და 16 ნოემბრის თავდასხმის დროს ინგლისის თვითმფრინავებმა დიდძალი ცეცხლგამჩენი და ფუგასური ყუმბარა ჩამოჰყარეს. ბომბარდირების შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი უბნები. ქალაქის ზოგიერთ ნაწილში ხანძარი გაჩნდა. სამოქალაქო მოსახლეობაში არის რამდენიმე მოკლული და მრავალი დაჭრილი.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომის დასაწყისიდან ეს იყო ყველაზე დიდი საჰაერო თავდასხმა ჰამბურგზე.

ბრძოლა კორჩის რაიონში

ათენი, 18 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ეთნოსი“ იუწყება, რომ საბერძნეთის არმიამ 4 ადგილას გაარღვია იტალიის ფრონტი. დაკავებულია კორჩის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე სტრატეგიული პუნქტები. კორჩი და არგიროკასტრონ - კორჩის გზა საბერძნეთის ჯარის უშუალო კონტროლქვეშ არის. ქალაქ ერსეკეს განუწყვეტლივ უშენენ თოფს. პინდის მთების რაიონში ბერძნებმა დაიკავეს ნახევრად დანგრეული ქალაქი კონიცა და დაბა მესოგეფირა. კალპაკიუს რაიონში იტალიის არმია, ჩრდილოეთიდან გარშემორტყმის შიშით, უკან იხევს. ჩრდილოეთის ფრონტზე იტალიის ჯარი იძულებულია დაიხიოს მეორე გამაგრებული ხაზისაკენ, რომელიც ქალაქ ელბასანის რაიონშია.

მიღებული ცნობებით, საბერძნეთის ჯარი სამი მხრიდან გარსშემოერტყა კორჩას. იტალიელები იხევენ ჩრდილოეთ-დასავლეთი მიმართულებით, მდინარე დევოლის ხეობით.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 17 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია: „დამატებითი ცნობებით, 15 ნოემბერს ღამით ლონდონზე თავდასხმის დროს დაზიანებულ იქნა ვატერლოო ბრიჯი. ყუმბარები დავაყარეთ აგრეთვე პედინგტონის ვაგზალს, გაზის ქარხანას კენინგტონში და გაზის ქარხანას სავაჭრო დოკების მახლობლად. ამ გაზის ქარხანაში დიდი ხანძარი გაჩნდა. სამხრეთ ინგლისის სხვადასხვა პუნქტებში, კერძოდ პორტსმუტსა და საუთჰემპტონში, დაზიანებულია მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები.

16 ნოემბერს კვლავ დავუშინეთ ყუმბარები ლონდონს და ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს სხვადასხვა რაიონებს. დღის განმავლობაში გერმანიის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს ინგლისის რამდენიმე გემზე. ამ დროს ჩაძირულ იქნა: 8 ათასი ტონა წყალწყვის სავაჭრო გემი, 3 ათასი ტონა წყალწყვის ტანკერი და 2 ათასი ტონა წყალწყვის სავაჭრო ხომალდი; ორი სხვა სავაჭრო გემი მძიმედ არის დაზიანებული.

16 ნოემბერს დილით შორსმსროლელმა არტილერიამ წარმატებით დაუშინა ინგლისის გემთა ქარავანს ლა-მანშში.

16 ნოემბერს, ღამით, გერმანიაზე თავდასხმის დროს ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს უმთავრესად ჰამბურგს, ბრემენსა და კილს, და უმნიშვნელო ზარალი მიაყენეს მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს. შემდგომი თავდასხმა მიმართული იყო დასახლებული პუნქტებისა და საცხოვრებელი უბნების წინააღმდეგ. ყუმბარების მეტი წილი ველებში და მინდორში დაეცა. 14 კაცი მოკლულია და რამდენიმე დაჭრილია. 15 ნოემბერს, ღამით, საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე ჩამოგდებულია მტრის თვითმფრინავი. 16 ნოემბერს, ღამით, ჰამბურგში ჩამოგდებულია მტრის მეორე თვითმფრინავი. მესამე თვითმფრინავი ღამის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს. გერმანიის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა“.

გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის მზვერავებმა, რომლებიც გუშინ ინგლისში დაფრინავდნენ, გამოარკვიეს, რომ გერმანიის თვითმფრინავების მიერ ლონდონის ბომბარდირებამ სიტიში რამდენიმე ადგილას დიდი ხანძარი გამოიწვია. ტემზის ნაპირზე ყუმბარები მოხვდა სასურსათო საწყობებსა და დოკების ზოგიერთ ნაგებობას.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 16 ნოემბერს, ღამით, გერმანიის ავიაცია უმთავრესად თავს ესხმოდა ლონდონს და შიდა საგრაფოებს. თავდასხმას უფრო ნაკლები ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე წინა ღამეს. ზოგან თავდასხმამ ძლიერ დააზიანა საცხოვრებელი სახლები, მატერიალური ზარალი დიდი არ არის. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ცენტრალური ინგლისის ერთერთ ქალაქში ჩამოყრილმა ყუმბარებმა ხანძარი გამოიწვიეს, რაც მალე იქნა ჩაქრობილი და ადამიანთა დიდი მსხვერპლი არ გამოუწვევია. 16 ნოემბერს, ღამით, ჩამოგდებულია მტრის ერთი ყუმბარმშენი.

გუშინ, დილას, გერმანიის ავიაციამ მცირე აქტივობა გამოიჩინა. რამდენიმე ყუმბარა დააყარეს კენტის საგრაფოს ერთერთ სანაპირო ქალაქს, რითაც მცირეოდენი მატერიალური ზარალი და ადამიანთა მცირე მსხვერპლი გამოიწვიეს.

15 ნოემბერს, ღამით, ინგლისის ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის ხაზებს, გემსაშენებს და სხვადასხვა კომუნალურ საწარმოებს ჰამბურგში. დოკებისა და რკინიგზის ლიანდაგის რაიონში რამდენიმე ადგილას აფეთქება მოხდა და ხანძარი გაჩნდა. ბომბარდირებულია აგრეთვე ნავთის ქარხნები და ბლომისა და ფოსის კომპანიის გემსაშენები. ყუმბარების აფეთქების შედეგად აქ ბევრ ადგილას გაჩნდა ხანძარი. ყუმბარები დაუშინეს ქალაქის ჩრდილო ნაწილში გაზის ქარხანას, აგრეთვე ელექტროსადგურსა და სხვა ობიექტებს.

თავს დაესხნენ აგრეთვე კილის დოკებსა და ოსტენდესა და კალეს ნავსადგურებს.

ინგლისის გემ „ემპრეს ოფ ჯაპანის“ დაღუპვა

ბერლინი, 17 ნოემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო, ემყარება რა გაზეთ „მესაჯერის“ ცნობას, რომიდან გადმოგვცემს, რომ ინგლისის გემი — „ემპრეს ოფ ჯაპანი“, რომელიც კანადის ბაირაღით მიდიოდა, ხანძრის მსხვერპლი გახდა. „ემპრეს ოფ ჯაპანი“ — 26 ათასი ტონა წყალწყვის დიდი სამგზავრო გემი — ომის დაწყების შემდეგ დამხმარე კრეისერად გადააკეთეს და განკუთვნილი იყო ჯარის გადასაყვანად ინგლისში. შვეიცარიის გაზეთი „სიუისი“ ადასტურებს, რომ ტრანსატლანტის გემზე 7 ათასი კანადიელი ჯარისკაცი იმყოფებოდა. ჰფიქრობენ, რომ გემი გერმანიის თვითმფრინავის თავდასხმის მსხვერპლი გახდა. როგორც შემდეგ აცხადებენ, ინგლისის ბაირაღით მიმავალმა ვერც ერთმა გემმა ვერ გაბედა მიახლოვებოდა ცეცხლმოდებულ გემს იმის შიშით, რომ მახლობლად გერმანიის წყალქვეშა ნავები არიანო.

„დეილი ექსპრესი“ კოვენტრის ბომბარდირების შედეგების შესახებ

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი). „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტი, რომელმაც კოვენტრი დაათვალიერა, იუწყება, რომ ბომბარდირების შედეგად ქალაქი სავსებით დანგრეულია. კოვენტრის მთავარი ქუჩები, მათ შორის საუკეთესო საზოგადოებრივი შენობები, კინო-თეატრები, მაღაზიები ნანგრევებად არის ქცეული. ბევრ ადგილას შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ სად გადიოდა გზა და სად იდგა სახლები და მაღაზიები. ასობით სახლი დანგრეულია კოვენტრის გარეუბნებშიც. მრავალი ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. მეტად საკვირველია, განაგრძობს კორესპონდენტი, რომ შექსპირის დროინდელმა ბევრმა ძველმა ლამაზმა შენობებმა ყუმბარებს გაუძლეს იმ დროს, როდესაც თანამედროვე ტიპის შენობები დანგრეულია. აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც ყუმბარები პირდაპირ მოხვდა მთელ რიგ თავშესაფრებს. დიდძალი ხალხია მოკლული და დაჭრილი სახანძრო რაზმების პირად შემადგენლობაში. ამჟამად ქალაქის რაიონში აკრძალულია ყოველგვარი მოძრაობა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ 15 ნოემბერს, ღამით, ავტომობილებმა ვერ მიაღწიეს ქალაქის ცენტრის მახლობლად მდებარე ვერც ერთ რაიონს, რადგან ქალაქის ცენტრში ბევრგან უზარმაზარი ხანძარი გიზგიზებდა. მეხანძრეთა რაზმების მოქმედებას ძალიან აბრკოლებდა წყლის ნაკლებობა წყალსადენის მაგისტრალთა დაზიანების გამო. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო გახდა შენობების დინამიტით აფეთქება, რათა ხელი შეეშალათ ცეცხლის გავრცელებისათვის. კორესპონდენტი სწერს, რომ სურსათ-სანოვაგის საწყობები კოვენტრში სერიოზულად არ დაზიანებულა, რის გამო ამჟამად ქალაქში არ არის სურსათ-სანოვაგის მწვავე ნაკლებობა. მოსახლეობას მომსახურებას უწევენ მოძრავი მაღაზიები, რომელთაგან ზოგიერთი კოვენტრის ბომბარდირების დროსაც კი მუშაობდა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ 15 ნოემბერს დილაადრიან ქალაქის მცხოვრებნი ბინების საძებნელად გაემართნენ ახლომახლო სოფლებში. ავტობუსები გაჭედილი იყო. ასობით უსახლკარონი ნებაყოფლობით მიიღეს მახლობელი სოფლების მცხოვრებლებმა. გაზეთ „დეილი მეილის“ კორესპონდენტი, რომელმაც აგრეთვე ინახულა კოვენტრი, აღნიშნავს, რომ კოვენტრის უსახლკარო მოსახლეობისადმი განსაკუთრებული მზრუნველობით დამოუკიდებლობა გამოიჩინეს გარეუბნის მუშათა რაიონებში.

ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ გუშინ კოვენტრი ინახულა მეფემ. მან ოთხ საათზე მეტ ხანს დაჰყო კოვენტრში.

კოვენტრი

(ცნობა)

ქალაქი კოვენტრი, რომელმაც 14 ნოემბერს, ღამით, ძლიერი ბომბარდირება განიცადა გერმანიის ავიაციის მხრივ, მდებარეობს ცენტრალურ ინგლისში, 151 კილომეტრზე ლონდონის ჩრდილოეთ-დასავლეთით. კოვენტრი მდებარეობს უორიკის საგრაფოში, რომელიც სხვა სამ საგრაფოსთან ერთად წარმოადგენს ინგლისის ერთერთ უდიდეს და უძველეს მანქანათმშენებელ და ლითონდამმუშავებელ რაიონს. ეს რაიონები ცნობილია „შავი ქვეყნის“ სახელწოდებით. უორიკის რაიონის ცენტრია ბირმინჰამი, ინგლისის მესამე ქალაქი სიდიდის მხრივ, რომლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს კოვენტრი.

კოვენტრი ინგლისის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია ავტომობილების, თვითმფრინავებისა და ავიამოტორების წარმოების მხრივ. გარდა ამისა, ქალაქში არის შალისა და ქიმიური მრეწველობის საწარმოები, აგრეთვე ხელოვნური აბრეშუმისა და ელექტროაპარატურის დამამზადებელი საწარმოები. 1914-18 წლის მსოფლიო ომის დროს კოვენტრის საწარმოები უმთავრესად საომარ მასალასა და სხვადასხვა სამხედრო საჭურველს ამზადებდნენ.

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი).

თურქეთის ეკონომიური მდგომარეობა

სტამბოლი, 17 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ჰაკიკათი“ ათავსებს სტატიას, რომელშიაც აღიარებს ქვეყნის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი კოორდინაციის კომისიის გადაწყვეტილებებს დღემდე ეფექტური შედეგები არ მოუცია. ცხოვრება ძვირდება. თურქეთის მთავრობა იძულებულია გამოუშვას ქაღალდის ფული. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ასაკის მობილიზაციასთან დაკავშირებით, პირველი მოთხოვნილების საგნების გამომმუშავებელი საწარმოები მუშახელის ნაკლებობას განიცდიან. სტატია თურქეთის ხალხსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს მოუწოდებს შეამცირონ მოხმარება და სახსრები მხოლოდ სამხედრო ღონისძიებათა საჭიროებისათვის ხარჯონ. სტატია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ქვეყნის ეკონომიკას ეფექტურ სარგებლობას მოუტანს მხოლოდ ის, რომ ხალხმა უარი სთქვას საქონლის ყიდვაზე; ეს იქნება სიძვირესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება“.

ომი აფრიკაში

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ავიაცია თავს დაესხა მტრის აეროდრომებს ლიბიაში. ბომბარდირებულ იქნა სოლუმი, მენასტირი, სიდი-ბარანი, ბარდია, ბომბა და ტობრუკი. ზარალი დიდია. ბომბაში ყუმბარა დააყარეს ჰიდროთვითმფრინავებსა და სხვადასხვა ნაგებობებს, ბარდიაში მრავალ ადგილას სერიოზული აფეთქება მოხდა. ბომბარდირებულ იქნა აგრეთვე რკინიგზის სადგურები და ახლო მდებარე ნაგებობანი კასალასთან. 13 ნოემბერს, ღამით ასმარაში ბომბარდირებულ იქნა ის ადგილები, სადაც მოტოტრანსპორტი იდგა, აგრეთვე სახელოსნოები. წარმატებით დავუშინეთ ყუმბარა დირედაუესა და ასაბს. ინგლისის ავიაციამ მტრის ტერიტორიაზე მთელი რიგი საზვერავო ფრენა ჩაატარა. 15 ნოემბერს, დილით, ჩვენი ავიაცია 7-ჯერ დაესხა თავს ლავულოს. ინგლისის სამხრეთ-აფრიკის საჰაერო ძალებმა 14 ნოემბერს ღამით, ყუმბარა დაუშინეს აგრეთვე ლავულოს. ამ ოპერაციებიდან ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ინგლისის სახმელეთო ძალთა სარდლობა 16 ნოემბერს კაიროდან იუწყება, რომ ინგლისის მექანიზებულმა საპატრულო ნაწილებმა აქტიური მოქმედება განაახლეს გალაბატის რაიონში. არტილერია განაგრძობს იტალიის პოზიციებისათვის ყუმბარების წარმატებით დაშენას მეტემთან. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

კანადის პარლამენტის ახალი სესიის გახსნა

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი (საკდესი). კანადის გაზეთ „მონრეალ გაზეტის“ გადმოცემით, კანადის პარლამენტის ახალი სესიის პირველი რამდენიმე დღე კანადის სამხედრო პოლიტიკის საკითხების გარშემო გამართულ კამათს მიეძღვნა. პრემიერმა კინგმა განაცხადა, რომ მას, 1937 წლიდან დაწყებული არაერთხელ განუხილავს რუზველტთან ერთად კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთო ძალით დაცვის საკითხები. კინგმა მოუწოდა კანადელებს უდიდესი სიფრთხილე გამოიჩინონ ისეთი საკითხების განხილვის დროს, რომლებიც იაპონიას, საფრანგეთსა და ეირეს შეეხება, იმის გამო, რომ ამჟამად „იაპონიასა და კანადას შორის იაპონიასა და ინგლისს შორის, აგრეთვე იაპონიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის კრიტიკული ურთიერთობა არსებობს“. შემდეგ კინგმა განაცხადა, რომ ასეთივე კრიტიკული ურთიერთობა არსებობს საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებს შორის, აგრეთვე ინგლისსა და ეირეს შორის. კინგმა უარჰყო წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას „ნაციონალური“ მთავრობა ყველა პარტიის წარმომადგენლებისაგან. მან განაცხადა, რომ მთავრობა ხელისუფლების სათავეში რჩება და ლიბერალური პარტიის უმრავლესობის მხარდაჭერას ემყარება.

ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის ლიდერმა ჰანსონმა კანადის მთავრობას ბრალი დასდო იმაში, რომ იგი „ყალბი უშიშროების“ გრძნობას ჰქმნის და საკმაოდ არ ეხმარება ინგლისს. ჰანსონი მოითხოვდა არმიასა, საჰაერო და საზღვაო ფლოტსა და სამხედრო მრეწველობაში არსებული პირობების გამოკვლევას. ჰანსონმა მოიწონა კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა, მაგრამ გაილაშქრა ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობის წინააღმდეგ. მან მოითხოვა, რათა კანადა შეეცადოს დააჯეროს ეირე, რომ მან იჯარით მისცეს ინგლისს ორი საზღვაო ბაზა.

კანადის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა კოლდუელმა მთავრობას ბრალი დასდო იმაში, რომ იგი თავისი სამხედრო შეკვეთებით მონოპოლისტთა კონტროლს აძლიერებს კანადაში. მან მოითხოვა ნაციონალიზებულ იქნას მთელი სამხედრო მრეწველობა. დასასრულ კოლდუელმა წამოაყენა საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ვიშის მთავრობის ელჩის შემდგომი ყოფნა ოტავაში.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ბრაზილიასა და კანადას შორის

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ბრაზილიასა და კანადას შორის მიღწეულია შეთანხმება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. უკვე მოხდა ნოტების გაცვლა-გამოცვლა რიო-დე-ჟანეიროსა და ოტავაში დიპლომატიურ მისიების შექმნის შესახებ.

ფრანგების გადასახლება ლორენიდან

ვიში, 16 ნოემბერი (საკდესი). ლორენიდან გადმოსახლებული ფრანგების ჩამოსვლის შედეგად შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით, განუწყვეტლივ იმართება ვიშის მთავრობის სხდომები.

როგორც იუწყებიან, საფრანგეთის არაოკუპირებული ზონის ტერიტორიაზე ლორენიდან უკვე 28 ათასი კაცი მოვიდა. ყოველ დღე მოდის ახალ-ახალი პარტიები 5-7 ათასი კაცის შემადგენლობით. სულ გადმოსახლებულ იქნება 400 ათასი კაცი. როგორც გადმოგვცემენ, 14 ნოემბერს ვიშის მთავრობამ გერმანიის ხელისუფლებას პროტესტი განუცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ლორენიდან ფრანგების გადასახლება მასთან შეთანხმებული არ ყოფილა.

საფრანგეთის ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორის კომუნიკე

ტოკიო, 16 ნოემბერი (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტო, ემყარება რა ხანოიდან მიღებულ ცნობებს, გადმოგვცემს, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორმა ვიცე-ადმირალმა დეკუმ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ საფრანგეთსა და ტაის შორის სადავო ტერიტორიული საკითხების გარშემო წარმოებული მოლაპარაკება ჩიხში მოექცა, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობა ტაის პრეტენზიებისაგან. ახასიათებს რა ტაიში შექმნილ მდგომარეობას, კომუნიკე აღნიშნავს, რომ ტაის პრესამ აშკარად გამოხატული ანტიფრანგული პოზიცია დაიკავა. ტაის ჯარი თავს იყრის საზღვრის მახლობლად. როგორც შემდეგ კომუნიკე აღნიშნავს, ლაოსისა და კამბოჯის საზღვრების მახლობლად ადგილი ჰქონდა ხშირ შეტაკებას, მაგრამ ამ შეტაკებათა ლოკალიზაცია დროზე ხერხდებოდა. საფრანგეთის ინდო-ჩინეთისა და ტაის საზღვარზე, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, ამჟამად სრული სიმშვიდეა. მაგრამ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები „თვალს ადევნებენ ამბების განვითარებას და ყოველგვარ საჭირო მზადებას ეწევიან შესაძლო მოულოდნელობათა შემთხვევისათვის“.

იაპონიის შტაბის გადაყვანა კანტონიდან ხაინანის კუნძულზე

შანხაი, 17 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „დაინებაო“ სწერს, რომ იაპონელებმა გადასწყვიტეს კანტონიდან ხაინანის კუნძულზე გადაიყვანონ იაპონიის იმ საზღვაო და სახმელეთო ძალთა შტაბი, რომლებიც სამხრეთ-ჩინეთში მოქმედებენ. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნავს გაზეთი, შტაბი საფრანგეთის ინდო - ჩინეთში იქნება გადაყვანილიო.

ეგვიპტის ახალი კაბინეტი

ბერლინი, 16 ნოემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო ბეირუთიდან გადმოგვცემს, ეგვიპტის ახალ პრემიერ-მინისტრად დანიშნულია ჰუსეინ სირი-ფაშა, რომელსაც მეფე ფარუქმა მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა. სირი-ფაშა ერთსადაიმავე დროს ხელმძღვანელობას გაუწევს შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს. ფინანსთა მინისტრად დანიშნულია ჰასან საბრი-ფაშა. ახალ პრემიერ-მინისტრს ჰუსეინ სირი-ფაშას 1938 წელს მუჰამედ მაჰმუდ-ფაშის კაბინეტში ეჭირა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის პოსტი და 1939 წელს ალი მაჰე-ფაშის კაბინეტში—ფინანსთა მინისტრის პოსტი.

ამერიკელ ჟურნალისტებს აეკრძალათ ესპანეთიდან კორესპონდენციების გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ესპანეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწყებული 18 ნოემბრიდან, ყველა ამერიკელ კორესპონდენტს აკრძალული აქვს ესპანეთიდან ცნობების გზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს ღონისძიება წარმოადგენს იმის პასუხს, რომ ესპანეთის სააგენტო ეფეს კორესპონდენტებს უარი უთხრეს ვიზების მიცემაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელად.

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ესპანეთის სააგენტო ეფეს არ უთხოვია ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი განყოფილების გახსნის ნებართვა, აგრეთვე არ უთხოვია ვიზები თავისი კორესპონდენტებისათვის. სახელმწიფო დეპარტამენტი, აღნიშნავს სააგენტო, მოელის ამ საკითხზე სრული ინფორმაციის მიღებას ამერიკის მადრიდის საელჩოსაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტიის რაიკომი და საკოლმეურნეო ეკონომიკის საკითხები

(სტალინირი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

პარტიის რაიკომის მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ღრმად სწვდება იგი საწარმოს, კოლმეურნეობის ეკონომიკის საკითხებს. ამ მხრივ კარგ მაგალითებს იძლევა პარტიის სტალინირის რაიონული კომიტეტი (რაიკომის მდივანი ამხ. ალ. ცხოვრებოვი).

მრავალფეროვანია სტალინირის რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. დაბლობ ადგილებში მისდევენ მარცვლეული კულტურების თესვას, მეხილეობასა და მევენახეობას, მთიან ზოლში—მესაქონლეობას, საკმაო ადგილი უჭირავს მეფუტკრეობასაც, ხოლო ახლა იწყებენ ახალი კულტურის — შაქრის ჭარხლის მოყვანას.

როგორ იბრძვის პარტიის რაიკომი საკოლმეურნეო ეკონომიკის ამ საკითხების წარმატებით გადასაჭრელად?

რაიონის ზოგი კოლმეურნეობა გულისყურით არ ეკიდებოდა მესაქონლეობის განვითარებას. სოფელ გოიანთკარის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ქუსრაევი) პროდუქტიული საქონლის ერთი ფერმაც კი არ ჰქონდათ, რადგან აქ არცერთი სული პირუტყვი არა ჰყავდათ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები გაიძახოდნენ — საძოვრები არა გვაქვს, თივა არ გვეშოვება, ცხოველების საზამთრო იალალებზე გასაგზავნად კადრები არა გვყავსო.

იმ მდგომარეობამ, რომ კოლმეურნეობა საკმაოდ დიდი იყო და მესაქონლეობის განვითარებისათვის აქ პირობებიც ჰქონდათ, რაიკომი ჩააფიქრა. ბიუროს გადაწყვეტილებით, რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. რომან ლაზარიშვილმა რამდენიმე დღე დაჰყო კოლმეურნეობაში. მან სათანადოდ შეისწავლა კოლმეურნეობა, გამოარკვია, თუ რა მიზეზები უშლის ხელს მესაქონლეობის განვითარებას და ადგილზევე დაეხმარა მათ.

ამის შემდეგ საკითხი რაიკომის ბიუროზე დაისვა. აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეობას ყველა პირობა მოეპოვება მესაქონლეობის განვითარებისათვის, მაგრამ ძმები დუდაევები და ვ. ტუაევი განგებ უშლიდნენ ხელს ამ საქმეს. კოლმეურნეობის საერთო კრებამ დეზორგანიზატორები გარიცხა კოლმეურნეობიდან, ხოლო რაიკომი დაეხმარა კოლმეურნეობას საძოვრების გამონახვაში, პირუტყვის შეძენაში და მიუთითა ნაკლოვანებების გამოსწორების გზებზე. ახლა ამ კოლმეურნეობას ჰყავს 23 ძროხა, 11 დეკეული, 160 სული ცხვარი, ააშენეს პირუტყვის კარგი ბინა და საკვებიც საკმაოდ მოიმარაგეს.

სოფელ გერის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (ყოფ. თავმჯდომარე გრიშა ალბოროვი), რომელიც ძირითადად მარცვლეული კულტურების კოლმეურნეობაა, ჩამორჩა მოსავლის აღებასა და დაბინავებაში.

აქ ყურადღებას არ აქცევდნენ სათესლე მასალის გაწმენდას. დათესეს ცუდი ხარისხის თესლი, მოსავალი დანაკარგებით აიღეს და ამას ისიც დაუმატეს, რომ რამდენიმე ათეული ძნა გაულეწავი დარჩათ; აუღებელი დარჩათ აგრეთვე თივა.

სიგნალს ამ კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ რაიკომი სასწრაფოდ გამოეხმაურა. საქმის გასაცნობად და დასახმარებლად იქ რაიკომის მესამე მდივანი ამხ. ლეონტი ჯიოევი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რეზო ბერუაშვილი გაიგზავნენ. საკითხი მწვავედ დაისვა რაიკომის ბიუროზე. ჩამორჩენის გამოსასწორებლად რაიკომის ბიურომ საქმიანი ღონისძიებები დასახა.

რაიკომი ისევ მალე დაუბრუნდა ამ კოლმეურნეობის საკითხს და დადგენილების შესრულების შემოწმების მიზნით ეს კოლმეურნეობა კვლავ გახდა ბიუროს მსჯელობის საგნად. აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა მუშაობა ისევ ძველებურად განაგრძეს. კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარე გრიშა ალბოროვი სამართალში იქნა მიცემული, ხოლო კოლმეურნეობა საიმედო კადრებით განამტკიცეს. რაიკომის სათანადო დახმარებით კოლმეურნეობამ დაკვრითი წესით გამოასწორა ჩამორჩენა და ახლა იგი მთელ სასოფლო საბჭოში მოწინავეა.

პარტიის რაიკომი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ რაიონში წარმატებით განვითარდეს ახალი კულტურა—შაქრის ჭარხალი (მომავალ წელს უნდა დაითესოს 140 ჰექტარზე). რაიკომის ბიურომ განიხილა ეს საკითხი და მიწათმოქმედების განყოფილებასთან ერთად ზუსტად გამოარკვია, თუ სად უფრო შეიძლება მისი მოყვანა. დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი, თვითეულ კოლმეურნეობამდე დაყვანილ იქნა შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა. ამის შედეგად სოფ. ქურთის, ბერულის, ხეთაგუროვის სახელობის და სოფ. კოხათის კოლმეურნეობებმა უკვე მოხნეს მზრალად და ჭარხლის დასათესად მოამზადეს რამდენიმე ჰექტარი მიწა.

სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებისათვის მეფუტკრეობა უკვე საკმაოდ დიდი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. მარტო მარმაზეთის კოლმეურნეობამ დღემდე შრომადღეებზე გაანაწილა 120 ფუთი თაფლი და 50 ფუთს თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე გაყიდის.

პარტიის რაიკომის მითითებით, რაიონის რამდენიმე ათეული ძირი ფუტკარი კულტურულად მოწყობილ სადგომებში იქნა გადაყვანილი. სადაც ფუტკარს ზამთრისათვის საკმაო შაქარი არა ჰქონდა, შეიძინეს. გარდა ამისა, შეძენილ იქნა აფხაზური საუკეთესო ჯიშის 7 ძირი სკა.

პარტიის სტალინირის რაიკომის ღირსება სწორედ ის არის, რომ საკოლმეურნეო ეკონომიკის საკითხებში ღრმად ჩაწვდომით იგი სამიწათმოქმედო ორგანოს ფუნქციებს კი არ ასრულებს, არამედ პარტიული ხელმძღვანელის როლს.

რ. ფალავანდიშვილი

კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

(ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა)

მოლიბდენის საამქროში ღუმელების ამონაგი ყოველი გამოდნობის შემდეგ იცვლებოდა. ამაზე დიდძალი რკინა და ცეცხლგამძლე აგური იხარჯებოდა. მუშა-ხელი და დროც ბევრი იყო საჭირო. ღუმელების წარმადობა კი დაბალი იყო. ეს მდგომარეობა არ ასვენებდა კომუნისტ ინჟინერს ამხ. გრ. ვეფხვაძეს. იგი ყოველთვის რაღაც ახლის ძიებაში იყო, სადნობ ღუმელში ტექნიკური პროგრესის შეტანაზე ფიქრობდა.

შემოქმედებითმა აზრმა გაიმარჯვა. ინჟინერ-მეტალურგმა ამხ. ვეფხვაძემ მონახა საკითხის სწორი გადაწყვეტა. მისი წინადადებით სადნობი ღუმელის კონსტრუქცია შეიცვალა. ახლა ამონაგის გამოცვლა 300 გამოდნობის შემდეგ ხდება. ამით 38 პროცენტით შემცირდა ტონა მოლიბდენის თვითღირებულება, ქარხანამ წლიურად 120.510 მანეთის ეკონომია მიიღო.

კომუნისტმა ინჟინერმა ამხ. არ. სტეფანიანმა მეტად გონივრული წინადადება შემოიტანა, მეტალური მარგანეცის შენადნობის მიღებისას ალუმინის ზოდების ნაცვლად ალუმინის ბურბუშელა გამოვიყენოთო. წინადადება მიიღეს. ფერადი ლითონების დამმუშავებელ ქარხნებს ალუმინის ბურბუშელა დაუკვეთეს, იგი კაზმში 50 პროცენტი შეურიეს და შენადნობიც პირველი ხარისხისა მიიღეს.

რა შედეგი მოჰყვა ამას? ჯერ ერთი, შემცირდა ალუმინის ზოდების ხარჯი. ტონა ალუმინის ზოდი კი ტონა ბურბუშელაზე 1.800 მანეთით იაფი ჯდება. გარდა ამისა, დიდად დაიზოგა საწვავი მასალების ხარჯი, განთავისუფლდა მუშა-ხელი, საბოლოო ანგარიშით ამხ. სტეფანიანის წინადადება ქვეყანას წლიურად დაახლოებით 200.000 მანეთის ეკონომიას აძლევს.

სადნობ საამქროში სილიკო-მანგანუმის გამოდნობისას ხმარობდნენ კირქვას, როგორც შემწიდავა. კირქვა კაზმის ერთერთი ძირითადი ელემენტი იყო. მას მეტად შორი მანძილიდან ეზიდებოდნენ. ახალგაზრდა ინჟინრებმა ამხ. დ. ჩიკაშუამ და გ. შათირიშვილმა კარგად შეისწავლეს დნობის პროცესი, კაზმის მომზადების საიდუმლოება, და კაზმის შემადგენლობა შესცვალეს. იქიდან სრულიად გამორიცხეს კირქვა, როგორც დნობის პროცესისათვის ზედმეტი ელემენტი. ამით მარტო კირქვის მოტანაზე გაწეული ხარჯები 50.000 მანეთით მაინც დაიზოგა. ამასთან ერთად შემცირდა შენადნობში წიდის რაოდენობა და ელექტრო ენერგიის ხარჯი, გაუმჯობესდა შენადნობის ხარისხი.

წინათ სადნობი ღუმელის ამონაგი წმინდა მაგნეზიტის ფხვნილისაგან მზადდებოდა. ფხვნილის შეცხობის უნარის არასაკმარისობით ღუმელის ქვედის (ფსკერის) გამძლეობა უმნიშვნელო იყო. კომუნისტ ინჟინრის ამხ. ლომთათიძის წინადადებით მაგნეზიტის ფხვნილს შეურევენ მარგანეცის წიდასთან და ამით აკეთებენ ამონაგს. ახლა ღუმელის ქვედის გამძლეობა იზრდება, რადგან აღნიშნული მასალების შეცხობიანობა უკეთესია. ამ წინადადებით სადნობი ღუმელის წარმადობა 8,9 პროცენტით გაიზარდა, თვითღირებულება 2 პროცენტით შემცირდა, ღუმელის მუშაობა თვეში 134 საათით გახანგრძლივდა, ხოლო ქარხანამ 42.546 მანეთის ეკონომია მიიღო.

მეტად საქმიანი წინადადებები აქვს. ინჟ. ლ. ბალდოვსკის, მას ეკუთვნის წინადადება „ელექტროპრომის“ ღუმელების მოკლე ქსელის რეკონსტრუქციისა სიმენის სისტემის ღუმელების მოკლე ქსელის მსგავსად, რაც 50.000 მანეთის ეკონომიას იძლევა.

სადნობ საამქროში ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების მიზნით მოხდა წყალსადენის საამქროდან წყლის მიწოდების სისტემის რეკონსტრუქცია. ამის იდეა ინჟ. მ. მიქავტაძეს ეკუთვნის. ეს ქარხანას წლიურად 122.866 მანეთის ეკონომიას აძლევს.

ერთი უდავოა: ზესტაფონელი მეტალურგები წინ იწევიან ტექნიკას, იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს თუგინდ ის ფაქტი, რომ ქარხანამ 15 ახალი შენადნობი აითვისა. ამ საქმეში განსაკუთრებით დამახასიათებელია მარგანეცის საამქროს მუშაობა. აქ ათამდე ახალი შენადნობი აითვისეს და ქარხნის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი პირველად მზადდება საბჭოთა კავშირში.

ოქტომბერში ქარხანამ მთავრობის სპეციალური დავალება მიიღო. სასწრაფოდ საჭირო იყო ახალი შენადნობი. ამისათვის ჯერ ახალი ღუმელი უნდა მოეწყოთ, ცდები უნდა ჩაეტარებინათ. მაგრამ საამქროში რისკზე წავიდნენ, ცდები არ დაუყენებიათ, და რა მოხდა? შემოქმედებითმა აზრმა გაიმარჯვა, დავალება 200 პროცენტით შეასრულეს, უმაღლესი ხარისხის შენადნობი მიიღეს.

ქარხნის პარტორგანიზაციაც იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის. პარტბიუროს მსჯელობის საგანი არაერთხელ ყოფილა ისეთი საკითხები, როგორიც არის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, ახალი შენადნობის ათვისება, სადნობი ღუმელების წარმადობის გაზრდა, კაზმის მომზადება, ელექტროენერგიის ეკონომიით ხარჯვა და სხვ.

მაგრამ ზესტაფონელ მეტალურგ-კომუნისტებს, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მოწინავე მუშებს მეტის გაკეთება შეუძლიათ. კომუნისტი - ინჟინერი, კომუნისტი-სამეურნეო მუშაკი მოვალეა ტექნიკის მიღწევების კურსში იყოს იმ დარგში, რომელშიც იგი მუშაობს. კომუნისტი ნოვატორი, ახლის მაძიებელი, შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და ტექნიკური პროგრესისათვის შეუპოვარი მებრძოლი უნდა იყოს.

პ. ჭიოკაძე

თბილისი. სურათზე: საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ძ. ო. იავრიანი (მარცხნივ) რაიკომის ინსტრუქტორ ს. ლ. დავითიანს ინსტრუქტაჟს უწევს „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამხმარე ლიტერატურის შესახებ.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

კადრი ფილმიდან „მუსიკალური ისტორია“.

„მუსიკალური ისტორია“

„მუსიკალური ისტორია“ პირველი საბჭოთა მუსიკალური ფილმია, რომლითაც საბჭოთა მაყურებელი წელს გაახარა ლენინგრადის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ „ლენფილმმა“. მისი სიუჟეტი უბრალოა და დამაჯერებელი. მასში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ გახდა უბრალო შოფერი პეტია გოვორკოვი ოპერის თეატრის სოლისტად. მას უყვარს ხელოვნება და მიზნად ისახავს მომღერალი გახდეს. ამავე დროს სიყვარულით არის გამსჭვალული ახალგაზრდა ქალისადმი, რომელიც მას თანაგრძნობას უცხადებს. სრული ბედნიერების მოსაპოვებლად მან განვლო ძნელი გზა, აღსავსე კომიკური და დრამატიული სიტუაციებით.

ლენინგრადის საოპერო თეატრში მიდის ბიზეს ოპერა „კარმენი“. თეატრის გალერეაზე მუსიკალურ განცდებს ერთმანეთს უზიარებს ორი მეზობელი: ერთი მათგანი ტაქსომოტორის შოფერი პეტრე გოვორკოვია, მეორე — ყოფილი მომღერალი მაკედონსკი. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ შოფერი მიიპატიჟებს თავის მეზობელს მანქანაში და მუსიკის მოტრფიალენი განაგრძობენ მსჯელობას შემსრულებლებზე.

მაკედონსკი უკმაყოფილოა ხოზეს როლის შემსრულებლით.

— მე არ ვიცი, ვასილ თომას-ძევ, რაა ღია და დახურული ბგერა. ამას კი მე ასე ვიმღერებდი,—უპასუხებს გოვორკოვი და მღერის.

მიაქროლებს შოფერი ლენინგრადის ქუჩებზე ავტოს და თავდავიწყებით მღერის, მღერის მთელი გზნებით, ხმის მთელი მოცულობითა და ხავერდოვნებით.

მიჰქრის მანქანა მომღერლებით და ღამის წყვდიადში ჰფანტავს ჩაიკოვსკის, ბოროდინის, ბიზეს უკვდავ ჰანგებს. მილიციელი ცდილობს შეაჩეროს ქალაქის მყუდროების დამრღვევი უცნაური ავტო, მაგრამ მის სტვენას ჰფარავს ახალგაზრდა შოფერის მჭექარე ტენორი. ეს შემთხვევა, აღსავსე მთელი რიგი სასაცილო მდგომარეობით, გადაიქცევა პ. გოვორკოვის შემოქმედებითი გზის დასაწყისად.

მალე გამოირკვევა, რომ მაკედონსკი ტრანსპორტის მუშაკთა საოპერო წრის ხელმძღვანელია. იგი მოიზიდავს ამ წრეში შოფერს, რომელსაც მომღერლის დიდი ტალანტი აღმოაჩნდება. აქ მშვენივრადაა გათამაშებული კომედიური სტილით ურთიერთობა საოპერო წრესა და კლუბის ჯაზს შორის. გოვორკოვს დიდი სიძნელეების გადალახვა უხდება, რომ მიზანს მიაღწიოს და ოპერის სოლისტი გახდეს. დიდი ხელოვნება მოითხოვს დიდ თავგანწირვას და ბეჯით მუშაობას. ეს არის „მუსიკალური ისტორიის“ დედა-აზრი.

უბრალოდ და სადად გადასჭრეს ეს იდეა სცენარის ავტორებმა ევგენი პეტროვმა და გ. მუნბლიტმა მარტივი სიუჟეტი მათ შეაფერადეს გონებამახვილი დიალოგებით, უამრავი კომედიური მდგომარეობის ბუნებრივი და მართალი განვითარებით, ყოველგვარი ექსცენტრიული ნომრებისა და ტრიუკების გარეშე.

„ლენფილმის“ მხატვრულმა კოლექტივმა „მუსიკალურ ისტორიაში“ გამომჟღავნებული მიღწევებით დიდად ასიამოვნა საბჭოთა მაყურებელი.

განსაკუთრებით ძლიერია მსახიობშემსრულებელთა თამაში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რუსეთის სფსრ დამსახ. არტისტის ს. ლემეშევის მიერ შექმნილი სახე ახალგაზრდა შოფერის გოვორკოვისა. მისი თამაში სადა და თბილია. იგი ეკრანზე პირველად გამოდის კომედიურ როლში, მაგრამ სრულიადაც არ სტოვებს დებიუტანტის შთაბეჭდილებას. ფილმი მთლიანად ბრწყინავს ს. ლემეშევის სიმღერით. მღერის ის მთელი თავისი ოსტატობითა და ტემპერამენტით.

საუცხოოა მსახიობი ნ. კონოვალოვი მაკედონსკის როლში. კარგია და ზომიერი არტისტი ე. გარინი უიმედოდ შეყვარებული შოფერის ალფრედ ტარაკანოვის როლში. საუცხოოდ გადმოგვცემენ მსახიობები ზოია ფედოროვა და ა. სერგეევა საბჭოთა ქალიშვილების სახეს. კარგია ა. კოროლკევიჩიც (მომღერალი ივგენი ონეგინის როლში).

ფილმის დადგმა ეკუთვნით რეჟისორებს ა. ივანოვსკისა და გ. რაპოპორტს, რომელთაც დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ პირველი საბჭოთა მუსიკალური ფილმის შესაქმნელად. ქების ღირსია ოპერატორ ა. კოლცატის და, განსაკუთრებით, გახმოვანების ოპერატორის ი. დიმიტროვის მუშაობა.

ფილმში საუცხოოდ ჟღერს ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, ბოროდინის და ბიზეს შესანიშნავი მუსიკა. ამ ფილმს სიამოვნებით ნახავს საბჭოთა მაყურებელი.

ა. ბარათელი

კეხვის სარწყავი არხის მშენებლობაზე

სამხრეთ-ოსეთის ოლქის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გამოიყენეს ფერგანელთა მდიდარი გამოცდილება, დიდ და მეტად სასარგებლო საქმეს მოჰკიდეს ხელი. უკანასკნელ ხანებში მათ დაიწყეს კეხვის მაგისტრალური სარწყავი არხის მშენებლობა, რომლის სიგრძე 20 კილომეტრი იქნება.

ამ არხს, რომლის მშენებლობაზე 4 მილიონი მანეთი დაიხარჯება, დიდი მნიშვნელობა ექნება სამხრეთ-ოსეთის ოლქისა და გორის რაიონის შემდგომი აყვავებისათვის.

წუნარის გაშლილი ველი ამიერიდან გამოყენებული იქნება აგრეთვე ბაღ-ვენახებისა და ბოსტნების გასაშენებლად. კეხვის არხი 4000 ჰექტარ სახნავ-სათეს ფართობს მორწყავს.

მშენებლობაზე განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ სტალინირის რაიონის სოფ. ტბეთის ბერიას სახელობის, სოფ. გალავანის ბუდიონის სახელობის, სოფ. წუნარის ხეთაგუროვის სახელობის, სოფ. თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები. ასევე წარმატებით მუშაობენ გორის რაიონის სოფ. ზემონიქოზის კოლმეურნეობა „გლეხთა იმედის“, სოფ. საქაშეთის კოლმეურნეობა „შრომას“, სოფ. ქვემონიქოზის კოლმეურნეობა „განთიადის“ კოლმეურნეები. ისინი ენერგიულად იბრძვიან არხის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის.

ა. მელაძე

ჩვენ გვწერენ

თბილისის მე-5 სკოლის მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს

თბილისის მე-5 სკოლა ერთხანს საცდელ-სანიმუშო სკოლად ითვლებოდა. მას ჰქონდა დათმობილი სამი კორპუსი, რომლებშიც მოწყობილი იყო საკლასო ოთახები, სპეციალური კაბინეტები, ბიბლიოთეკა, კლუბი და სხვ. მაგრამ არ ვიცით ვისი განკარგულებით, — სკოლას ჩამოართვეს თითქმის ორი კორპუსი, ააშენეს ავტომანქანების გარაჟი, სკოლის ეზოს ჩამოაჭრეს ნაკვეთი, და სწავლა ორ წყებაზე გადაიყვანეს. ამრიგად, სკოლას დარჩა მხოლოდ ერთი კორპუსი და მეორე კორპუსის 5 საკლასო ოთახი. ჩამორთმეული პირველი კორპუსი და მეორე კორპუსის ნაწილი გადასცეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს. ინსტიტუტის დირექციამ დაიწყო სკოლის მეტად შევიწროება, ზოგიერთი საკლასო ოთახის კედლები გაანგრია და კლასებში ნორმალური მეცადინეობის საშუალება მოსპო. სკოლის ერთი კლასი ამჟამად უვარგის ოთახშია გადატანილი.

ინსტიტუტისათვის გადაცემულ პირველ კორპუსში მოთავსებულია საკლუბო დარბაზი, რომელიც ამჟამად გადაქცეულია წიგნების საწყობად. ეს იმ დროს, როდესაც სკოლას არ გააჩნია კლუბი, რომ სკოლისგარეშე მუშაობა გაშალოს და ამ საქმეში აქტიურად ჩააბას მშობლები. ამავე დროს სკოლას არა აქვს ბუფეტისათვის და სასწავლო ნივთებით სავაჭრო კიოსკისთვის საჭირო ოთახები იმ დროს, როდესაც საკლასო ოთახების ვერდით მოთავსებულია გარაჟი სამი ავტომანქანისათვის.

სკოლა და გარაჟი? პირდაპირ გასაოცარია! ეს გარაჟი საფრთხეს უქმნის ბავშვებს, სწავლაში ხელის შეშლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. გარაჟი სკოლის ეზოს ფარგლებში არ უნდა იყოს.

სკოლას ბიოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის კაბინეტებისა და ბიბლიოთეკისათვის ოთახები არ გააჩნია. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისათვის გადაცემული სასკოლო ოთახები კი დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული.

ეზოში არის ამავე სკოლის კუთვნილი ბაღი ძვირფასი ხეხილით, რომელიც ინსტიტუტის დირექციამ მიისაკუთრა. ჩვენი სკოლის მოსწავლეებს კი საშუალება არა აქვთ თეორიულ სწავლას (განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებაში) დაუკავშირონ პრაქტიკულად ნახვა ყველა პროცესისა, რასაც ბუნებისმეტყველების საგანი ითვალისწინებს.

ვფიქრობთ, სათანადო ხელმძღვანელი ორგანოები ჩაერევიან ამ საქმეში და მიიღებენ საჭირო ზომებს წერილში აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

თბილისის მე-5 საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის წევრები:
ქ. გრატიაშვილი, მ. ჯაფარიძე, ქ. დოლიძე, მ. ლაზარია, მ. მირიანაშვილი, კ. გაგნიძე, მ. მერსესაშვილი, ე. ნოდია, ე. სვანიძე.

რატომ არ სრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება?

მიმდინარე წლის 14 მაისს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. მოწონელიძის თავმჯდომარეობით გაარჩია მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე № 39 სახლის მეპატრონის მოქ. პ. კასპაროვას და ამ სახლის ერთერთი მობინადრის მოქ. ი. ფინკელშტეინის დავა ბინის რემონტის თაობაზე. სასამართლომ კანონიერად სცნო მოქ. ფინკელშტეინის მოთხოვნილება და საქმეც მის სასარგებლოდ გადასწყვიტა — დაავალა სახლის პატრონს მობინადრე ფინკელშტეინის ბინის კაპიტალურად შეკეთება.

მაგრამ სასამართლოს დადგენილება დადგენილებად დარჩა, მოქ. კასპაროვამ დღემდე არ შეუკეთა ბინა მოქ. ფინკელშტეინს და არა მარტო მოქ. ფინკელშტეინის ბინა, არამედ მთელი სახლი უნუგეშო მდგომარეობაშია. მეექვსე თვეა მოქ. ფინკელშტეინი აღმასრულებელი ფურცლით ხელში დადის სასამართლოსა და რაიპროკურატურაში მაგრამ ვერ მიაღწია სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სასამართლო თვითონ არ სცემს პატივს თავის გადაწყვეტილებას. მოსამართლე ამხ. მოწონელიძემ, როცა ნახა, რომ მისი გადაწყვეტილება არ სრულდება, მოქ. ფინკელშტეინი ასეთი პასუხით გაისტუმრა: „რა ვუყოთ, თუ სახლის პატრონი არ ასრულებს ჩვენს გადაწყვეტილებას. თქვენც ადექით და თვითონ შეაკეთეთ ბინა ქირის ანგარიშით“. უძლური აღმოჩნდა ამ საქმეში სასამართლოს აღმასრულებელი ამხ. ჩხაიძეც. ის იმით იმართლებს თავს, რომ ამხ. მოწონელიძემ მომცა განმარტება, მობინადრემ თვითონ უნდა შეაკეთოს ბინა ქირის ანგარიშში. თუ ეს ასეა, მაშინ რაღა საჭირო იყო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა?.

მოქ. ფინკელშტეინი ბოლოს იძულებული გახდა რესპუბლიკის პროკურატურისათვის მიემართა, მაგრამ დღემდე მაინც მდგომარეობა უცვლელია.

საინტერესოა, რატომ არ სრულდება ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება მოქ. ფინკელშტეინის ბინის რემონტის თაობაზე, ვინ მფარველობს სახლის მეპატრონეს პ. კასპაროვას?

ლ. ტურიაშვილი

იაპონიის ექსპანსია სამხრეთისაკენ

მეორე იმპერიალისტურმა ომმა შეარყია ინგლისისა და საფრანგეთის გაბატონებული მდგომარეობა შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის აუზში. ევროპაში შექმნილი ვითარების გამო მრავალი კოლონიური სამფლობელო ამ ნაწილში დაუცველი დარჩა.

იაპონიის იმპერიალიზმმა, ისარგებლა რა შორეულ აღმოსავლეთში ინგლის-საფრანგეთის პოზიციების შესუსტებით, ომის დაწყებიდანვე მათ ჩინეთში ერთიმეორეზე წაუყენა მოთხოვნები. ინგლისი და საფრანგეთი იძულებული იყვნენ დაეკმაყოფილებინათ ეს მოთხოვნები, რათა თავიდან აეცილებინათ სამხედრო შეტაკება იაპონიასთან.

ომის დაწყებიდანვე ინგლისმა ჩრდილოეთ ჩინეთიდან თითქმის მთლიანად გამოიყვანა თავისი ჯარი, შესწყვიტა ტვირთის გადაზიდვა ჩინეთში ჰონკონგითა და ბირმით. საფრანგეთის მთავრობამ იცნო იაპონიის ძირითადი უფლებები სამხრეთ-ჩინეთში და შესწყვიტა ჩინეთისათვის სამხედრო მასალების მიწოდება საფრანგეთის ინდო-ჩინეთით.

ჩინეთში იაპონელების შეჭრამ დაარღვია ამერიკული „წმინდათაწმინდა“ პრინციპი „ღია კარებისა და თანასწორი უფლებების შესახებ ჩინეთში“, რაც 1899 წლიდან აღიარებულია ამერიკის შეერთებული შტატების შორეული აღმოსავლეთის ძირითად პოლიტიკად.

იაპონიის ძირითადმა მეტოქემ შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარ ოკეანეში — ა. შ. შტატებმა იაპონიის ამ მოქმედებას უპასუხა 1939 წ. 26 ივლისს სავაჭრო ხელშეკრულების (დადებული იყო 1911 წელს) შეწყვეტით, და შეამცირა რკინის ჯართის და ნავთის ექსპორტი იაპონიაში.

იაპონელმა იმპერიალისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების ამ ნაბიჯს უპასუხეს სამხრეთის ზღვების ქვეყნებისაკენ თავიანთი პოლიტიკის გააქტივებით. სამხრეთისაკენ მოძრაობის ამოცანა იაპონიის იმპერიალიზმის სამხედრო პროგრამის შემადგენელი ნაწილია. იაპონიამ სამხრეთის ზღვების რაიონში სტრატეგიული პოზიციების გამაგრებისათვის გასული წლის თებერვალში დაიპყრო კუნძული ხაინანი, ხოლო მარტში კუნძულები სპარტლი (მდებარეობს კუნძულ ბორნეოსა და ინდო-ჩინეთს შუა) და ამ ნაბიჯით უშუალო საფრთხის ქვეშ დააყენა საფრანგეთის ინდო-ჩინეთი.

იაპონიის ეკონომიური ექსპანსია სამხრეთისაკენ დაიწყო ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის დროს, როცა ევროპის სახელმწიფოები ომის გამო შორეულ აღმოსავლეთიდან თითქმის წავიდნენ. იაპონიამ ჰოლანდიის ინდოეთში მიიღო საკუთარი კაუჩუკის პლანტაციები და ნავთის კონცესიები (იაპონიის კონცერნმა მიცუიმ მიიღო ნავთის კონცესია კუნძულ ბორნეოზე) და სხვ. 1931 წელს იაპონიამ შესძლო ჰოლანდიის ინდოეთის იმპორტში დაეკავებინა პირველი ადგილი. გასული წლის დასასრულს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა სპეციალური „სამხრეთის ზღვების დეპარტამენტი“.

სამხრეთის ზღვების ქვეყნებს, რომლებიც მდებარეობენ აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ეკუთვნიან ჰოლანდიის ინდოეთი, საფრანგეთის ინდო-ჩინეთი, ა. შ. შტატების კოლონია — ფილიპინები, ბრიტანეთის მალაია, კუნძული ბორნეოს ჩრდ. ნაწილი და სახელმწიფო ტაი. (სიამი).

ამათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჰოლანდიის ინდოეთი, რომელიც, კოლონიური საქმოსნების გამოთქმით, „ჰოლანდიის დედოფლის ზურმუხტის ყელსაბამს“ წარმოადგენს.

ჰოლანდიის ინდოეთს (ანდა, როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთს, ინდონეზიას) უჭირავს დიდი და ბუნებრივი სიმდიდრეებით სავსე მალაის არქიპელაგი: სუმატრა, იავა, ბორნეოს სამხრეთი ნაწილი (ჩრდილოეთი ნაწილი ეკუთვნის ინგლისს), ცელებესი, ახალი გვინეის დასავლეთი ნაწილი (აღმოსავლეთი ნაწილი ეკუთვნის ინგლისს) და მრავალი სხვა პატარა კუნძულები.

ჰოლანდიის ინდოეთი მსოფლიო ბაზარს აწვდის კაუჩუკის მსოფლიო მოთხოვნილების ⅓ მეტს, კალის — 1/5, ნავთის — 1/10. მარტო კუნძული იავა იძლევა ქინაქინის მსოფლიო პროდუქციის 95-98 პროცენტს.

ჰოლანდიის უფრო ძლიერმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ჰოლანდიის ინდოეთის მიმართ თავზე მოახვიეს „ღია კარების“ პოლიტიკა. ინგლისის ინვესტიციები ჰოლანდიის ინდოეთში შეადგენს 31 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ხოლო ა. შ. შტატების კაპიტალდაბანდება ჰოლანდიის ინდოეთში 200 მილიონ დოლარს აღემატება.

მალაიის არქიპელაგს უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ გეოგრაფიულად ეს კუნძულები ისე არიან განლაგებული, რომ თითქოს ბუნებრივ ხიდს წარმოადგენენ ორ მატერიკს — აზიასა და ავსტრალიას შუა და ჰყოფენ ორ ოკეანეს — წყნარსა და ინდოეთისას. ამავე დროს ის სტრატეგიული გასაღებია შემდგომი ექსპანსიისათვის ავსტრალიისა, ახალი ზელანდიისა, სინგაპურისა და ინდოეთისაკენ.

უკანასკნელი ამბები, კერძოდ იაპონიის ჯარის შეჭრა საფრანგეთის ინდო-ჩინეთში, წარმოადგენს იაპონიის მორიგ ნაბიჯს ჰოლანდიის ინდოეთის დაპყრობის გზაზე და ამავე დროს ცდას ჩინეთში ომის რაც შეიძლება მალე დამთავრებისათვის.

საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ტერიტორიის საგრძნობ ნაწილზე პრეტენზიებს აცხადებს სახელმწიფო ტაი (სიამი), რომელიც, აშკარაა, გამოდის იაპონიის კარნახით. ვიშის მთავრობა კატეგორიულად უარჰყოფს ტაის ტერიტორიულ მოთხოვნებს. ამის გამო ტაი ინდო-ჩინეთის საზღვარზე გზავნის ჯარებს, ტანკებს, თვითმფრინავებს. საფრანგეთის შორეული აღმოსავლეთის ფლოტი კი სიამის ყურეში დგას.

მიმდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებში იაპონიაში იონაის კაბინეტის შეცვლამ კონოეს კაბინეტით დააჩქარა „აღმოსავლეთ აზიაში ახალი წესრიგის შექმნის“ განხორციელებისაკენ სწრაფვა, რაც ფაქტიურად ნიშნავს როგორც ჩინეთის, ისე სამხრეთის ზღვების ქვეყნების დამორჩილებას იაპონიისათვის.

ამგვარად, იაპონიის ექსპანსია სამხრეთისაკენ კითხვის ქვეშ აყენებს ა. შ. შტატების ბატონობას ფილიპინებზე და წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ აუზში. ასევე საფრთხეში ვარდება დიდი ბრიტანეთის ბატონობა წყნარ ოკეანესა და ინდოეთის ოკეანეში.

ცხადია, ინგლისი მისი ახლანდელი მდგომარეობის გამო ისე აქტიურად ვერ გამოვა იაპონიის წინააღმდეგ, რადგან ის იძულებულია მთელი ყურადღება მიაპყროს ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის აუზს. ამიტომ ინგლისი შორეულ აღმოსავლეთში თავისი პოზიციების დაცვის საქმეში იმედებს ამყარებს ა. შ. შტატებთან თანამშრომლობაზე. უცხოეთის პრესის დაუდასტურებელი ცნობებით, ინგლისსა, ა. შ. შტატებსა და ავსტრალიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიზანს შეადგენს მათი სამფლობელოების საერთო ძალით დაცვა წყნარ ოკეანეში იაპონიის თავდასხმის შემთხვევაში. ამ ხელშეკრულებით ა. შ. შტატებს უფლება ეძლევა გამოიყენოს ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზები წყნარ ოკეანეში.

სამთა კავშირის ბერლინის პაქტი, რომელიც უფრო აახლოვებს წყნარ ოკეანეში და შორეულ აღმოსავლეთში იაპონიისა და ა. შ. შტატების გადამწყვეტი შეჯახების დღეს, ბოლოს უღებს დასავლეთ ევროპასა, ჩრდილოეთ აფრიკაში და ჩინეთში წარმოებული ომების ერთმანეთისაგან მოწყვეტილობას.

ინგლისი და ა. შ. შტატები ამ პაქტის საპასუხოდ იაპონიის წინააღმდეგ აშკარად გამოვიდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის იმედით ინგლისმა 17 ოქტომბერს გახსნა ბირმა-ჩინეთის გზა.

ა. შ. შტატებმა დამატებით კიდევ მისცა სესხი ჩინეთის ნაციონალურ მთავრობას. 16 ოქტომბრიდან ძალაში შეიყვანა ემბარგო ა. შ. შტატებიდან რკინისა და ფოლადის ჯართის ექსპორტზე. ის დაჩქარებით ამაგრებს ალიასკას, ალეუტს, ჰავაის, მიდუეის, უეიკს, ჰუამის, ფილიპინის კუნძულებს.

ა. შ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წინადადებით შორეულ აღმოსავლეთიდან მასობრივად მიდიან ამერიკელები. ჩინეთის ოკუპირებულ რაიონებს სტოვებენ ინგლისელები.

ჰოლანდიის ინდოეთში კამალებით ემზადებიან იაპონიის შესაძლებელი თავდასხმის მოსაგერიებლად. უკანასკნელ 4-5 თვეში აქ ორჯერ მეტად გაიზარდა სახმელეთო არმია, ფართოვდება სამხედრო-საზღვაო ფლოტი. იაპონიის თავდასხმის შემთხვევაში ნავთის სარეწაოები გამზადებულია ასაფეთქებლად.

იაპონიის ეკონომიური მისია უკვე ერთი თვეა ჰოლანდიის ინდოეთის ხელისუფლებასთან აწარმოებს მოლაპარაკებას ნავთისა, საავიაციო ბენზინისა და სხვა სტრატეგიული ნედლეულის შესყიდვის შესახებ. ეკონომიური მისია სიძნელეებს წააწყდა და მისიის ხელმძღვანელი კობაიასი ტოკიოს გაემგზავრა, რათა მთავრობას ინფორმაცია გაუკეთოს მოლაპარაკების მიმდინარეობაზე.

შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის აუზის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ა. შ. შტატების მონოპოლიური ბატონობისათვის აშკარა გამოსვლამ იაპონიაში გამოიწვია ანტიამერიკული განწყობილება. იაპონური გაზეთი „კოკუმინი“ ოქტომბრის პირველ რიცხვებში სწერდა: „ჩვენ მოვითხოვთ, რომ ა. შ. შტატებმა ხელი აიღოს აღმოსავლეთ აზიის რაიონზე და თავისი ყურადღება მიაპყროს სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას“.

ამგვარად, პირისპირ დგას ორი ძირითადი მოქიშპე წყნარ ოკეანეში ბატონობისათვის: ერთი მხრივ იაპონია, ხოლო მეორე მხრივ ა. შ. შტატები.

კვლავ რა სიახლით ისმის ვ. ი. ლენინის სიტყვები, წარმოთქმული 1918 წლის მაისში იაპონია-ამერიკის ქიშპობაზე წყნარ ოკეანეში: „ამ ქვეყნების ეკონომიურმა განვითარებამ, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მოამზადა უამრავი საწვავი მასალა, რომელიც გარდუვალს ხდის ამ სახელმწიფოთა მძაფრ შეჯახებას წყნარ ოკეანესა და მის სანაპიროზე ბატონობისათვის. შორეული აღმოსავლეთის მთელი დიპლომატიური და ეკონომიური ისტორია სრულიად უეჭველ ხდის, რომ კაპიტალიზმის ნიადაგზე შეუძლებელია თავიდან აცილება იმ მწვავე კონფლიქტისა იაპონიასა და ამერიკას შორის, რომელიც მწიფდება“, (ტ. XXIII, გვ. 5, რუსული გამოცემა. 1930 წ.).

კ. კალანდაძე.

იტალია-საბერძნეთის ომი

ათენი, 17 ნოემბერი (საკდესი). საბერძნეთის უმაღლესი სარდლობის მიერ 16 ნოემბერს, საღამოს, გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია: „მთელს ფრონტზე ეპირში და განსაკუთრებით კორჩის მახლობლად აღმოსავლეთით მდებარე მთის რაიონში სერიოზული ბრძოლა სწარმოებდა მთელი დღის განმავლობაში. ჩვენ ხელთ ვიგდეთ დიდძალი სამხედრო ტყვე, აგრეთვე იარაღი და ყოველგვარი საომარი მასალა. უკუქცეულმა მტერმა ნახევარი ქალაქი კონიცა გადასწვა. მტრის ავიაცია კვლავ უშენდა ყუმბარებს ქალაქებსა და სოფლებს, რომლებსაც არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არა აქვთ. მსხვერპლი არ არის".

გაზეთი „კატიმერინი" იუწყება, რომ საბერძნეთის არმიამ პრესპის ტბის მახლობლად ხელთ იგდო გამაგრებული მთა ივანი 1.400 მეტრი სიმაღლისა. გარდა ამისა, აღებულია გრამოს-მოროვოს მთის ხაზის მთავარი პუნქტები, აგრეთვე პოზიციები, საიდანაც დაშენა უხერხდება კორჩა-ერსეკის გზას, რომლითაც იტალიის არმიის მომარაგება სწარმოებს.

სოფია, 17 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ზორა" იუწყება, რომ 14 ნოემბრიდან მოკიდებული იტალიელებმა საბერძნეთის თავდაცვითი სიმაგრეებისა და საბერძნეთის მთელი ტერიტორიის წინააღმდეგ იერიშისათვის გამოიყვანეს უახლესი ტიპის თვითმფრინავები, კერძოდ, მძლავრი სამმოტორიანი ყუმბარმშენები.

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ბერძნების ჯარი შეტევაზე გადავიდა კორჩის მახლობლად, სმოლიკის დასავლეთით, მესარიში მიმავალ გზაზე. იტალიელთა ჯარი უკუიქცა. ბერძნებმა მაღლობები დაიკავეს ალბანეთის ტერიტორიაზე, ლესკოვიკის დასავლეთით. კორჩა თითქმის მთლიანად გარშემორტყმულია ბერძნების ჯარით. სამოქალაქო მცხოვრებთა უმეტესობამ ქალაქი დასტოვა.

ინგლისისა და საბერძნეთის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ვალონას და მახლობლად მდებარე კანინის ციხეს. იტალიის 3 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა იანინას.

მეორე ცნობაში იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საბერძნეთის ჯარმა გადასჭრა გზა, რომელიც კორჩას არგიროკასტრონთან აკავშირებს, და იტალიის ჯარი, რომელიც კორჩის რაიონში იმყოფება, მოსწყვიტა მისი მომარაგების ბაზებსა და მაშველ ჯარს.

დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, ბერძნები კორჩაში შევიდნენ იმის შემდეგ, რაც სამთო არტილერიამ ცეცხლი გაუჩინა ქალაქს და აიძულა იტალიელები უკან დაეხიათ. არსებული ცნობების თანახმად, ბერძნებმა მთებში ხელთ იგდეს იტალიის დიდძალი სამხედრო საჭურველი.

ინგლისის თვითმფრინავებმა გააძლიერეს იერიშები იტალიის ჯარის კოლონების წინააღმდეგ, რომელნიც უკან იხევენ. იტალიის ავიაციის აქტივობა შესამჩნევად შესუსტდა.

საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბერძნებმა კვლავ დაიკავეს კონიცა.

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საბერძნეთის ჯარი ბრძოლით წინ მიიწევს პრესპის ტბის დასავლეთით მდინარე ვიიოსის ველისაკენ, ვალონის მიმართულებით.

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კორჩის სექტორში საბერძნეთის ჯარი განაგრძობს ორივე ფლანგიდან შემოვლას, მიზნად ისახავს რა იტალიელების რკალში მომწყვდევას. საბერძნეთის ჯარმა დაიკავა მოროვის მთის სამხრეთი და აღმოსავლეთი კალთები. ბერძნებმა, რომლებიც წინ მიიწევენ პინდის სექტორში, კვლავ დაიკავეს საბერძნეთის ყველა სოფელი, რომლებიც წინათ ხელთ იგდეს იტალიელებმა. უკანასკნელი პუნქტი, საიდანაც იტალიელებმა დაიხიეს იყო კონიცა.

საბერძნეთის ჯარი კვლავ ენერგიულად მიიწევს წინ ალბანეთის ტერიტორიაზე. მან ხელთ იგდო დიდძალი იარაღი. რეიტერის სააგენტოს მიერ ლონდონის სამხედრო წრეებში მიღებული ცნობების თანახმად, ალბანეთში არის იტალიის 200-დან 250 ათასამდე ჯარისკაცი.

იტალიის ცნობა

რომი, 17 ნოემბერი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: „გუშინდელი დღის განმავლობაში საბერძნეთის ფრონტზე გრძელდებოდა იერიშები და კონტრიერიშები, რომლებიც განსაკუთრებით გაათრებული ხასიათისა იყო მე-9 არმიის სექტორში. ჩვენმა ავიაციამ ყუმბარა დაუშინა გზებს, რკინიგზის ლიანდაგებს, მტრის შეჯგუფებულ ჯარსა და მის საარტილერიო პოზიციებს. ბომბარდირების შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა, აფეთქება მოხდა და შეწყდა მიმოსვლა. ერთერთი ჩვენი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა. ჩვენმა საჰაერო შენაერთებმა ყუმბარა დაუშინეს სანავსადგურო ნაგებობებს სუდის (კუნძული კრეტა) ყურეში, აგრეთვე ალექსანდრიის ნავსადგურს.

ჩრდილოეთ აფრიკაში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მტრის საჰაერო ბაზებს ედ-დაბასა და მაატენ ბაგუშში, სადაც დიდი ხანძარი გაჩნდა, ხანძარი გაჩნდა აგრეთვე მერსა-მატრუხის ნაგებობებში და რკინიგზაზე მერსა-მატრუხსა და ბირ ამაზინს შორის.

მტრის თვითმფრინავებმა ჩვენი საზენიტო არტილერიის სწრაფი და ზუსტი მოქმედების გამო უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ყუმბარები სოლუმის, ბარდიის, დერნის, ბომბისა და ბენგაზის რაიონში; მატერიალური ზარალი არ ყოფილა. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს მტრის ერთი თვითმფრინავი. ერთერთი ჩვენი ავიაგამანადგურებელი დაიმსხვრა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენს ერთერთ საჰაერო შენაერთზე პორტ-სუდანის ნაგებობათა ბომბარდირების დროს იერიში მოიტანეს მტრის ავიაგამანადგურებლებმა; ჩამოგდებულია მტრის ერთი თვითმფრინავი. მტრის თავდასხმა დეკამერსა, ასმარასა და მასაუაზე უშედეგო აღმოჩნდა. მასაუას რაიონში ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი თვითმფრინავი.

მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ბარის; მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. მტრის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მონოპოლისს. მოკლულია ერთი კაცი; დანგრეულია საცხოვრებელი სახლები".

გაზეთი „ტაიმსი" კრეტას კუნძულზე გენერალ უეიველის გამგზავრების შესახებ

ლონდონი, 17 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტი თან ახლდა ინგლისის მთავარსარდალს შორეულ აღმოსავლეთში გენერალ უეიველს, როდესაც იგი ეგვიპტიდან კრეტის კუნძულზე გაფრინდა, სადაც უეიველმა ინგლისის საექსპედიციო ჯარი დაათვალიერა. კორესპონდენტი აცხადებს, რომ სუდის ყურეში მან ინგლისის რამდენიმე სამხედრო გემი ნახა. ეს ნავსადგური მეტისმეტად მოხერხებულია და შეიძლება მეორე პლიმუტად იქნას გადაქცეული. იარაღი, რომელიც განუწყვეტლივ მოდის, სატვირთო მანქანებით გადააქვთ კრეტის სხვადასხვა პუნქტებში. ამ საომარ მასალას საიდუმლო საცავებში ინახავენ.

უეიველის მოგზაურობა დიდი საიდუმლოებით იყო მოცული. სუდში უეიველს შეჰხვდა მხოლოდ საბერძნეთისა და ინგლისის შტაბის ოფიცერთა მცირე ჯგუფი. დღის განმავლობაში უეიველმა დაათვალიერა სანაპირო ბატარიები და ინგლისის ჯარის ნაწილების განლაგების ადგილები და მოისმინა იმ უფროს ოფიცერთა ანგარიშები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდნენ ინგლისის ჯარის პირველი ნაწილების გადასხმას.

კრეტას კუნძული, სწერს დასასრულ კორესპონდენტი, მთლიანად არ არის ოკუპირებული ინგლისის ჯარის მიერ; მაგრამ ინგლისის ჯარი იმგვარად არის განლაგებული, რომ იტალიელებისათვის ძალიან სარისკო იქნება შეეცადონ ჯარის გადასხმას კუნძულის რომელიმე პუნქტში.

უცხოეთის თვითმფრინავები ბიტოლის თავზე

ბელგრადი, 16 ნოემბერი (საკდესი). გაზეთ „ვრემეს" კორესპონდენტი ბიტოლიდან იუწყება: „გუშინ, 14 საათსა და 30 წუთზე, ბიტოლში გამოცხადდა საჰაერო განგაში. 5 წუთის შემდეგ შენიშნეს უცხოეთის სამი თვითმფრინავი, რომელიც 4.000 მეტრ სიმაღლეზე დაფრინავდა. თვითმფრინავებმა იუგოსლავიის საზღვარი დაარღვიეს სოფელ მეჯედის მახლობლად, გადაუარეს პერისტერის და ალბანეთისაკენ გაემართნენ. ისინი დიდი სისწრაფით დაფრინავდნენ. არ მოხერხდა იმის გამორკვევა, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნიან ეს თვითმფრინავები.

ბიტოლი, 16 ნოემბერი (საკდესი). გუშინ, 20 საათსა და 05 წუთზე, ბიტოლის თავზე გამოჩნდნენ გამოურკვეველი სახელმწიფოს თვითმფრინავები. გამოცხადდა საჰაერო განგაში. მთელს ქალაქში გამორთული იყო სინათლე. საზენიტო არტილერიამ სროლა აუტეხა მათ. დამსწრეთა სიტყვით, თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს 5-6 ყუმბარა, რომლებიც რკინიგზის სადგურიდან 2 კილომეტრის დაშორებით, აგრეთვე საზენიტო არტილერიის ბატარიის მახლობლად დავარდა. ამტკიცებენ, რომ ეს თვითმფრინავები გაემართნენ ალბანეთისაკენ და ყუმბარა დაუშინეს პოგრადეცს.

რკინიგზის ახალი ხაზი ჩრდილოეთ ჩინეთში

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ დამთავრდა მშენებლობა რკინიგზის ხაზისა, რომელიც დეჯოუს (ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე) შიძიაჩუანთან (ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე) აერთებს.

თბილისიდან მოსკოვს გავიდა ვაგონი-გამოფენა დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ

17 ნოემბერს თბილისიდან მოსკოვს გავიდა ვაგონი-გამოფენა დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს ვაგონი-გამოფენა კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლმა მოაწყო.

მრავალი ექსპონატი ორიგინალურად არის განლაგებული (ალბომები—ნიშნები კედლებში) და ლამაზად მოწყობილი ვაგონის შედარებით მცირე ფართობი მაქსიმალურად არის გამოყენებული. ექსპონატები მკაფიოდ და დამაჯერებლად მოგვითხრობენ პროლეტარული რევოლუციის ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მათს დიად მეგობრობას. მაკეტები სიმბირსკის სახლისა, სადაც ილიჩი დაიბადა, გორის სახლისა, სადაც სტალინი დაიბადა, და ავლაბრის რესტავრირებული არალეგალური ბოლშევიკური სტამბისა ისეა მოწყობილი, რომ ტრიალებენ. ვაგონში მოწყობილია ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ესტრადა, მუსიკალური ინსტრუმენტების დაკვრა.

მოსკოვს ვაგონი ჩავა სტალინური კონსტიტუციის დღეს. გზაში — მაჰაჩ-ყალაში, გროზნაში, მინერალურ წყლებში, როსტოვსა და სხვა დიდ სადგურებში ვაგონი გაჩერდება, რათა მშრომელებს გამოფენა უჩვენოს. ამ გამოფენას უდიდესი სიყვარულითა და ინტერესით ნახავენ არა მარტო ბავშვები, არამედ მოზრდილებიც. (საქდესი).

დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში

სსრ კავშირის ჩემპიონია მოსკოვის „დინამოს" გუნდი

17 ნოემბერს უკრაინის დედაქალაქში — კიევში—შესდგა ფეხბურთელთა უკანასკნელი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოს" გუნდი და „კრილია სოვეტოვის" გუნდი.

დინამოელებმა გამარჯვება მოიპოვეს და ორი წლის შემდეგ დაიბრუნეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელწოდება ფეხბურთში.

○

ფეხბურთელთა სსრ კავშირის 1940 წლის პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის 13 უძლიერესი გუნდი. მათ გაითამაშეს 158 მატჩი (ორი მატჩი გადათამაშებულ იქნა). პირველობის გათამაშებაში გუნდები ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. დიდი მატჩების დროს ჩვენი ქვეყნის სტადიონები ხალხით იყო გაჭედილი. მარტო მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ფეხბურთელთა შეხვედრებს ჩვენი ქვეყნის პირველობაზე 2 მილიონამდე მაყურებელი დაესწრო.

ადგილები გუნდებს შორის, რომელნიც სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდებისათვის იბრძოდნენ, შემდეგნაირად განაწილდა: 1 ადგილი — „დინამო" (მოსკოვი), 2—„დინამო" (თბილისი), 3—„სპარტაკი" (მოსკოვი), 4—წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდი, 5—„დინამო" (ლენინგრადი) 6—„ლოკომოტივი" (მოსკოვი), 7—„ტრაქტორი" (სტალინგრადი), 8—„დინამო" (კიევი). 9—„კრილია სოვეტოვ" (მოსკოვი), 10—„ზენიტი" (ლენინგრადი), 11—„ტორპედო" (მოსკოვი), 12—„სტახანოვეცი" (სტალინო), 13—„მეტალურგი" (მოსკოვი).

საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონი ფეხბურთში—მოსკოვის „დინამოს" გუნდი—ჩვენი ქვეყნის ერთერთი უძველესი გუნდია, რომელიც ცნობილია თამაშის მაღალი ტექნიკით. მოსკოველმა დინამოელებმა 1936 წელს პირველმა მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდება. შემდგომ წელს მათ შეინარჩუნეს სსრ კავშირის პირველობა, მოიგეს „სსრ კავშირის თასი" და წარმატებით ჩაატარეს რამდენიმე საერთაშორისო მატჩი.

1938 წელს ჩემპიონის სახელწოდება და „სსრ კავშირის თასი" ფეხბურთში საზოგადოება „სპარტაკის" გუნდმა მიიღო და ორი წლის განმავლობაში შეინარჩუნა.

წლევანდელ სეზონში მოსკოვის დინამოელებმა სსრ კავშირის პირველობაზე გათამაშებულ 24 მატჩში 48 შესაძლებლიდან 36 ქულა შეაგროვეს და დაიბრუნეს ჩემპიონის სახელწოდება. გუნდმა მოიგო 16 მატჩი, 4 მატჩი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 4 წააგო. უკანასკნელი მატჩები მოსკოვის დინამოელებმა დაუმარცხებლად ჩაატარეს. სეზონის განმავლობაში მათ მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 74 ბურთი, ხოლო თავისაში 30 ბურთი გაუშვეს. (საკდესი).

○

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „მეტალურგის" პირველი წრის შეხვედრა, რომელიც თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა, გაპროტესტებულ იყო მოსკოველთა მიერ. პროტესტი მიღებულ იქნა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ და გადაწყდა ამ მატჩის გადათამაშება, რაც მოხდა ლ. ბერიას სახელობის, თბილისის „დინამოს" სტადიონზე კვირას, 17 ნოემბერს.

თამაში პირველი წუთებიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო. თბილისელებმა განავითარეს ენერგიული შეტევა და მალე გავაშელი—პაიჭაძე—ბერეჟნოის კომბინაცია ლამაზი გოლით დამთავრდა.

მეორე ტაიმი მოსკოველთა ენერგიული შეტევით დაიწყო. ისინი ცდილობენ რადაც არ უნდა დაუჯდეთ თავი დააღწიონ წაგებას და მალე, სარგებლობენ რა „დინამოს" ნახევარმცველ მ. ბერძენიშვილის აშკარა შეცდომით, ათანაბრებენ ანგარიშს. ბრძოლა უფრო დაძაბულ ხასიათს ღებულობს, მაგრამ დიდხანს ვერცერთი „მოწინააღმდეგე" ვერ ახერხებს ანგარიშის გადიდებას. თბილისელთა თავდასხმა უფრო ორგანიზებულად უტევს „მოწინააღმდეგეს", თავდამსხმელებს ენერგიულად ეხმარება ნახევარდაცვა, მოსკოველთა კართან ხშირად იქმნება კრიტიკული მომენტები. ერთერთ ასეთ მომენტში ნახევარმცველი ბერძენიშვილი შორი მანძილიდან მოულოდნელად გზავნის ბურთს მოწინააღმდეგის ბადეში. თბილისელები კიდევ უფრო ავითარებენ შეტევას, რამდენიმე წუთში გააქვთ მესამე ბურთი და თამაშსაც ამთავრებენ თავიანთ სასარგებლოდ (3:1).

ველო-შეჯიბრება კიევი-თბილისი. სურათზე (მარცხნიდან) **ზემოთ:** შეჯიბრების მონაწილენი ო. მატუევა და ნ. კრუჩინინა; მონაწილეთა პარადი. **ქვემოთ:** თბილისელი ველოსპორტსმენები—ვ. სტეპანოვი, მ. გაგნიძე, ჩინტიმიროვი; კიეველი ველოსიპედისტები—მ. ლიპატოვი და ი. გილბერგერი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

კიევი-თბილისი

ველოშეჯიბრება

16 და 17 ნოემბერს ლ. ბერიას სახელობის ველოსტადიონზე ჩატარდა უკრაინისა და საქართველოს დედაქალაქების ველოშეჯიბრება.

შეჯიბრება გაიხსნა მონაწილეთა პარადით. გიტში 500 მეტრის მანძილზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს გილბერგერმა (კიევი—37,2 წამი) და გაგნიძემ (თბილისი—37,7 წამი). სწრაფი ტემპით ჩატარდა მარული 7,5 კილომეტრზე. გამარჯვება მოიპოვა თბილისის გუნდმა სპორტის ოსტატ ვ. სტეპანოვის, გაგნიძის, ჩინტიმიროვისა და კასუმოვის შემადგენლობით (დრო—11 წუთი და 36,5 წამი). სასპრინტერო გარბენათა შედეგად ფინალში გამოვიდნენ გაგნიძე (თბილისი), გილბერგერი და ლიპატოვი (კიევი). ამით დამთავრდა შეჯიბრების პირველი დღე, რომელმაც გამარჯვება მოუტანა თბილისელებს ანგარიშით 4:2.

○

შეჯიბრების მეორე დღე დაიწყო გიტით 200 მეტრზე. გაიმარჯვა გილბერგერმა (კიევი—14,8 წამი), მან ერთი მეათედი წამით ჩამორჩა თბილისელი გაგნიძე. საინტერესო იყო ფინალური სასპრინტერო გარბენა 1 კილომეტრზე. ველოსპორტსმენებს ოთხი წრე უნდა გაევლოთ. პირველ წყვილში ერთმანეთს შეხვდნენ გაგნიძე (თბილისი) და ლიპატოვი (კიევი). გამარჯვება მოიპოვა გაგნიძემ. მეორე ფინალურ გარბენაში ერთმანეთს შეხვდნენ კიეველები გილბერგერი და ლიპატოვი (კიევი); გაიმარჯვა პირველმა. ამრიგად, პირველობაში ერთმანეთს ეცილებოდნენ გაგნიძე და გილბერგერი. მათს შეხვედრაში გამარჯვება მიესაჯა გილბერგერს.

შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდა სასტაერო მარულა 15 კილომეტრზე. საუკეთესო შედეგს მიაღწია გაგნიძემ. 68 წრე მან 17 წუთსა და 45,4 წამში გაიარა.

შეჯიბრება, რომელიც ორი მოძმე რესპუბლიკის ველოსიპედისტთა გულთბილ შეხვედრას წარმოადგენდა, დამთავრდა თბილისის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 7:5.

პიონერები და მოსწავლეები უნდა ჩაებნენ ფოლკლორის შეგროვებაში

საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მხატვრული აღზრდისა და სკოლის გარეშე მუშაობის ცენტრალურმა კაბინეტმა მიმართა საქართველოს ყველა პიონერსა და მოსწავლეს აწარმოონ მოხუცებისაგან, მშობლებისაგან და ამხანაგებისაგან გაგონილი იმ ხალხური თქმულებების, ზღაპრების, ლეგენდების, ანდაზების, გამოცანებისა და ლექსების სისტემატური და დაწვრილებითი ჩაწერა, რომლებშიაც ასახულია ლენინი და სტალინი, საამური საკოლმეურნეო ცხოვრება, წითელი არმია, სამოქალაქო ომი, ხალხისათვის თავდადებული ადამიანები, გმირები, წარსული ცხოვრება და სხვ. პიონერებისა და მოსწავლეების ეს საქმიანობა ხელს შეუწყობს იმ დიდ მუშაობას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში ხალხური ზეპირშემოქმედების—ფოლკლორის ძვირფასი მასალის შესაგროვებლად.

ყოველ ჩაწერილ ამბავს ქვევით მიწერილი უნდა ჰქონდეს ჩაწერის თარიღი, სად ჩაიწერა, ვის მიერ არის ნაამბობი—მისი შეთხზულია თუ არა ეს ამბავი, რამდენი წლისაა და რა ხელობისაა მთქმელი, სად ცხოვრობს. ბოლოში მიწერილი უნდა იქნას ჩამწერის სახელი, მამის სახელი, გვარი, ზუსტი მისამართი, რომელ სკოლაში და რომელ კლასში სწავლობს, პიონერია თუ კომკავშირელი.

რჩევა-დარიგებისათვის მოსწავლეებმა უნდა მიმართონ მასწავლებლებს.

საუკეთესო ჩაწერილი მასალები დაბეჭდილი იქნება ჟურნალ-გაზეთებში, აქტიური და სისტემატურად ჩამწერი მოსწავლეები დაჯილდოებული იქნებიან.

ჩაწერილი მასალა უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. № 2, საქართველოს სსრ განსახკომის მხატვრული აღზრდისა და სკოლის გარეშე მუშაობის ცენტრალური კაბინეტი (ფოლკლორისათვის).

ფრანგული ჭიდაობა

მოსკოვი—თბილისი

15 და 16 ნოემბერს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში ჩატარდა მოსკოვისა და თბილისის მოჭიდავეთა მატჩი. მოსკოვის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში იყვნენ მოსკოვის ჩემპიონები: სპორტის ოსტატი ლიულიაკოვი (უმსუბუქესი წონა), სსრ კავშირის დამსახურებული ოსტატი ბასკაკოვი (ნახევრადმსუბუქი წონა), სპორტის ოსტატი ეგოროვი (მსუბუქი წონა), ანისიმოვი (ნახევრადსაშუალო), სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონი საშუალო წონაში პილნოვი, სუსლოვი (ნახევრადმძიმე წონა) და სპორტის ოსტატი სენატოროვი (მძიმე წონა). პირველ დღეს მოსკოვის ნაკრები გუნდი შეხვდა თბილისის მეორე ნაკრებ გუნდს. შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 6:1.

მეორე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის მოჭიდავენი და თბილისის პირველი ნაკრები გუნდი.

ხალიჩაზე პირველად გამოდიან უმსუბუქესი წონის მოჭიდავენი მოსკოველი ლიულიაკოვი და თბილისელი ნოზაძე. 20 წუთის ჭიდაობის შემდეგ გამარჯვება მიესაჯა ნოზაძეს. მეორე წყვილში ერთმანეთს შეხვდნენ ნახევრადმსუბუქი წონის მოჭიდავენი ბასკაკოვი (მოსკოვი) და ძეკონსკი (თბილისი). ჭიდაობაში უპირატესობისათვის გამარჯვება მიესაჯა ბასკაკოვს. მსუბუქ წონაში ეგოროვმა (მოსკოვი) მოუგო საქართველოს ჩემპიონ ბურნაზოვს. ნახევრადსაშუალო წონაში ანისიმოვმა (მოსკოვი) წააგო სპორტის ოსტატ ტერმოლაევთან (თბილისი).

სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონმა პილნოვმა (საშუალო წონა) დაძაბული ბრძოლის შედეგად მოუგო საქართველოს ჩემპიონ ყიფიანს. ნახევრადმძიმე წონაში ერთმანეთს შეხვდნენ სუსლოვი (მოსკოვი) და მაყაშვილი (თბილისი). გაიმარჯვა სუსლოვმა.

მაყურებელნი მოუთმენლად მოელოდნენ მძიმე წონის მოჭიდავეების სენატოროვისა და საქართველოს ჩემპიონის სპორტის ოსტატ მაჩკალიანის შეხვედრას. თბილისელმა აშკარა უპირატესობა გამოამჟღავნა და გამარჯვებაც მოიპოვა.

მატჩი დამთავრდა მოსკოვის ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის სააღრიცხვო სექტორში სასწრაფოდ უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ვახტანგ არტემის-ძე **ბარდაველიძე**, გვადი ფილუს-ძე **გოგია**, ივანე იაკობის-ძე **კოპატკოვი**, ვასილ ალექსის-ძე **კოზლოვი**, ბაბუცა მიხეილის-ასული **გალუსტოვა**, გიორგი ნიკოლოზის-ძე **აფონსკი**, ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე **ნოზაძე** და ანტონინა ანდრიას-ასული **ვლასიუკი**.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „ტრავიატა" (მე-5 აბ. მე-3 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — „გიორგი სააკაძე", **მარჯანიშვილის სახელობის** — „გიორგი სააკაძე", **მუსკომედია** — „ხაჯარათი".

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „მუსიკალური ისტორია", **დღისით** — „ექიმი აიბოლიტი", **ოქტომბერი** — „მუსიკალური ისტორია", **დამკვრელი** — „მუსიკალური ისტორია", **დღისით** — „დუნაიზე", **კომკავშირელი** — „კარო", **სპარტაკი** — „კარო", **ლუქსემბურგის სახ.** — „მუსიკალური ისტორია", **26 კომ. სახ.** — „თავადის ქალი მერი", **კომინტერნი** — „ნათელი გზა", **განთიადი** — „მიტკა ლელიუკი", **წითელი არმიის სახლი** — „გამანადგურებლები", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „საყვარელი ქალიშვილი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „გადასასვლელი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ზამთრის პერიოდისათვის—1940 წლის 1 ნოემბრიდან 1941 წლის 1 მაისამდე—

ქალ. თბილისის სავაჭრო ქსელში ვაჭრობის საათების შესახებ

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1940 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება № 1072.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს სამრეწველო საქონლის სავაჭრო ქსელის ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) თბილვაჭრობის მაღაზიები №№ 3, 5, 6, 8, 9, 10, 14, 17, 21, 24, 32, 34, 36, 37, 38, 39, 43, 53, 67, 87, 96, 104, 108, 115 და პასაჟი, თბილკავშირუნივერმაღის (გარდა ავეჯეულობის მაღაზიისა პლეხანოვის პროსპექტზე, № 147), „გლავობუვის", „ტექსტილსბიტის", საქაბრეშუმის, „გლავენერგოსბიტის", „გლავსტეკლოს" და „სტეკლოფარფორტორგის" ყველა მაღაზიები — **12 საათიდან 21 საათამდე.**

(შეწყვეტა ერთი საათით — მაღაზიის დაუხურავად);

ბ) თბილვაჭრობის ყველა შერეული სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიები, გარდა მაღაზიებისა № 106 და № 148—**8 საათიდან 20 ს. 30 წუთამდე;**

გ) თბილვაჭრობის შერეული მაღაზიები № 106 და № 148 — **11 საათიდან 19 ს. 30 წუთამდე;**

დ) „ზაკვოენტორგის" თბილისის განყოფილების შერეული მაღაზიები — **9 საათიდან 19 საათამდე;**

ე) შემსყიდველი და სარეალიზაციო მაღაზიები — **11 საათიდან 19 ს. 30 წუთამდე;**

ვ) „გლავინვენტარტორგის" საქ. კანტორის მაღაზია — **9 საათიდან 17 ს. 30 წუთამდე;**

ზ) „გლავპარფიუმერის" მაღაზიები—**9 საათიდან 21 ს. 30 წუთამდე;**

თ) სანჰიგიენისა და სანიტარიის მაღაზიები — **9 საათიდან 22 საათამდე;**

ი) ყველა სავაჭრო სისტემის წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიები, გარდა გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის" მაღაზიისა, — **10 საათიდან 18 ს. 30 წუთამდე;**

კ) გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას" მაღაზიები — **9 საათიდან 21 ს. 30 წუთამდე;**

ლ) მთავთამბაქოს ყველა მაღაზია — **7 ს. 30 წუთიდან 24 ს. 30 წუთამდე;**

მ) მთავთამბაქოს ყველა ფარდული და კიოსკი — **7 ს. 30 წუთიდან 16 საათამდე;**

ნ) თბილკავშირუნივერმაღის ავეჯეულობის მაღაზია — **9 საათიდან 19 საათამდე.**

2. სამრეწველო საქონლის ყველა იმ მაღაზიაში, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ამ დადგენილების 1 პუნქტში, ვაჭრობა სწარმოებდეს — **11 საათიდან 19 ს. 30 წუთამდე.**

3. დამტკიცდეს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს თბილისის განყოფილების ყველა აფთიაქის მუშაობის შემდეგი საათები:

ა) № 1 (ბერიას სახელობის მოედანი), № 3 (შაუმიანის მოედანი), № 4 (კარლ მარქსის მოედანი), № 6 (ლენინის ქ., № 31), № 12 (ბრძოლის ქ., № 212), № 13 (ხუდადოვის ქ., № 10), № 15 (რუსთაველის პროსპექტი, № 24), № 17 (სარიწამ კოოპერაციის ქ., № 52) — **მთელი დღე-ღამის განმავლობაში;**

ბ) მ ავარი სააფთიაქო სამმართველოს და სხვა სისტემების ყველა დანარჩენი აფთიაქებისათვის — **9 საათიდან 23 საათამდე.**

4. ყველა სისტემის საყვავილე მაღაზიებში ვაჭრობა სწარმოებდეს **10 საათიდან 22 ს. 30 წუთამდე.**

5. „თბილგორტოპის" ქვემოთ ჩამოთვლილ ნავთის დუქნებში ნავთის ვაჭრობა სწარმოებდეს:

ა) № 6 (საბჭოს ქ., № 185), № 9 (ვახუშტის ქ.), № 16 (ბორჯომის ქ., № 2), № 18 (კოჩუბეის ქ., № 1), № 25 (მელიქიშვილის ქ., № 48), № 32 (ათარბეგოვის ქ., № 6), № 38 (მუზეუმის ქ., № 3), № 36 (ა. კ. ფედერაციის ქ., № 22), № 39 (ვერცხლის ქ., № 41), № 52 (შაუმიანის ქ., № 26) — **10 საათიდან 18 ს. 30 წუთამდე;**

ბ) ნავთის ყველა დანარჩენ დუქნებში—**8 საათიდან 16 ს. 30 წუთამდე.**

6. საწყობებიდან შეშისა და ნახშირის გაყიდვა სწარმოებდეს — **12 საათიდან 20 ს. 30 წუთამდე.**

7. დამტკიცდეს პურით სავაჭრო ქსელის ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) თბილპურვაჭრობის მაღაზიები №№ 3, 5, 11, 13, 17, 32, 42, 44, 54, 57, 62, 67, 77, 80, 84, 91, 93, 101, 106, 135, 143; საქპურტრესტის, არტელების „პრომკონდსნაბისა" და „ქართული პურის" მაღაზიები — **7 საათიდან 24 საათამდე;**

ბ) თბილპურვაჭრობის მაღაზიები №№ 4, 6, 9, 27, 28, 39, 43, 52, 59, 60, 64, 73, 83, 88, 95, 113, 118, 132, 138, 140, 153; „ტრანსტორგპიტის" პურის სავაჭრო ყველა მაღაზიები — **7 საათიდან 19 ს. 30 წუთამდე;**

გ) თბილპურვაჭრობის მაღაზიები №№ 1, 2, 7, 8, 10, 12, 14, 15, 16, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 29, 30, 31, 33, 35, 36, 37, 40, 41, 45, 47, 51, 53, 55, 56, 58, 61, 63, 65, 66, 68, 69, 70, 71, 72, 74, 75, 76, 78, 79, 81, 82, 85, 90, 92, 96, 98, 100, 102, 103, 107, 110, 111, 112, 114, 115, 117, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 133, 134, 136, 137, 141, 142, 144, 145, 147, 148 — **7 საათიდან 17 ს. 30 წუთამდე.**

„გ" პუნქტში აღნიშნული მაღაზიები დახურული უნდა იყოს შესასვენებლად 11 საათიდან 13 საათამდე.

8. დაწესდეს სასურსათო მაღაზიების ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) თბილვაჭრობის მაღაზიები №№ 123, 134, 135, 136, 138, 146, 147, 150 133, 153, 154, 159, 160, 161, 162, 164, 165, 166, 167, 169, 170, 171, 172, 173, 175, 176, 177, 178, 180, 184, 185, 187, 190, 193, 196, 197, 200 და წვრილმანსაცალო სასურსათო ბაზა, თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიები №№ 9, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 22, 23, საქთევზტრესტის მაღაზია № 1, „გლავრიბას" მაღაზიები №№ 1 და 2, „გლავკონსერვის" მაღაზია № 3, „თბილრაიტრანსტორგპიტის" მაღაზია № 8, — **8 საათიდან 20 ს. 30 წუთამდე;**

ბ) თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიები №№ 19, 20, 25, 27, 29, 30 და 31, თბილვაჭრობის მაღაზია № 140, საქხორცრძევაჭრობის მაღაზიები №№ 4 და 7—**7 საათიდან 16 ს. 30 წუთამდე;**

გ) „თბილრაიტრანსორგპიტის" ყველა ხილბოსტნეულის მაღაზიები — **7 საათიდან 19 ს. 30 წუთამდე;**

დ) თბილვაჭრობის მაღაზიები №№ 121, 122, 125, 126, 127, 128, 129, 131, 132, 137, 139, 141, 144, 145, 156, 158, 181, 192, 194, „გლავგასტრონომის" ყველა მაღაზია, საქკონსერვტრესტის სპეცმაღაზია, საქხორცრძევაჭრობის მაღაზიები № 2, 3, 8, სსრ კავშირის „გლავკონდიტერის" ყველა მაღაზია, საქმთავკონდიტერის ყველა მაღაზია, „გლავკონსერვის" მაღაზიები №№ 1 და 2, „თბილრაიტრანსტორგპიტის" მაღაზია № 78, თბილხილბოსტანვაჭრობის მაღაზიები №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11 და 21 — **8 საათიდან 01 საათამდე;**

ე) თბილვაჭრობის მაღაზიები №№ 143, 191, 174 — **7 ს. 30 წუთიდან 20 საათამდე;**

ვ) თბილვაჭრობის მაღაზია № 130 (რუსთაველის პრ., № 12) — **მთელი დღე-ღამის განმავლობაში.**

9. დაწესდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) კაფე-საკონდიტროები და სასაუზმოები — **8 საათიდან 01 საათამდე;**

ბ) მე-2 კატეგორიის რესტორანები—**8 საათიდან 24 ს. 30 წუთამდე;**

გ) მე-3 კატეგორიის რესტორანები, გარდა თბილისის საზკვების ტრესტის რესტორანებისა №№ 156, 157, 159, აგრეთვე რესტორან „ინტურისტისა" და საქხორცრძევაჭრობის სანიმუშო სახაზისა—**10 საათიდან 01 საათამდე;**

დ) თბილისის საზკვების ტრესტის რესტორანი № 156 (პლეხანოვის პრ., № 116), № 157 (რუსთაველის პრ., № 30), № 159 (ვაგზლის მოედანი), და რესტორანი „ინტურისტი" — **10 საათიდან 03 საათამდე;**

ე) საქხორცრძევაჭრობის სანიმუშო სახაზე — **8 საათიდან 01 საათამდე;**

10. დამტკიცდეს საზაფხულო ქსელის ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) ყინულის ბაზა—**10 საათიდან 18 ს. 30 წუთამდე;**

ბ) ნაყინისა და გამაგრილებელი სასმელების გასასყიდი ქსელი—**10 საათიდან 22 ს. 30 წუთამდე,** გარდა ტრესტ „ლუდ-ლიმონათის" ქსელისა.

გ) ტრესტ საქ. „ლუდ-ლიმონათის" ლუდის ბარები და მაღაზიები—**9 საათიდან 01 საათამდე.**

11. დამტკიცდეს საკოლმეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) სტალინის სახელობის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის დახურული ნაწილისათვის, აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის მთელი ბაზრისათვის ვერაზე — **7 საათიდან 19 საათამდე;**

ბ) ყველა დანარჩენ ბაზრებზე — **8 საათიდან 18 საათამდე;**

გ) საკოლმეურნეო ბაზრების ტერიტორიაზე მომუშავე სამრეწველო საქონლის სავაჭრო ქსელისათვის — **9 ს. 30 წუთიდან 18 საათამდე;**

დ) საკოლმეურნეო ბაზრების ტერიტორიაზე მომუშავე სასურსათო ქსელისათვის, გარდა საქხორცრძევაჭრობის ფარდულისა სტალინის სახელობის რაიონის ბაზარზე—**თვით ბაზრებისათვის გათვალისწინებულ საათებში;**

ე) საქხორცრძევაჭრობის ფარდულისათვის სტალინის სახელობის რაიონის დახურულ ბაზარში — **7 საათიდან 15 ს. 30 წუთამდე;**

12. დაწესდეს ქალაქში საკოლმეურნეო ბაზრებს გარეთ არსებული ყველა საკოლმეურნეო სტაციონარული სავაჭრო წერტების ვაჭრობის შემდეგი საათები:

ა) ხილბოსტნეულისა და საპროდუქტო წერტილები—**7 საათიდან 23 ს. 30 წუთამდე;**

ბ) ღვინის სპეციალიზებული წერტები — **10 საათიდან 22 ს. 30 წუთამდე.**

13. დაწესდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის შემდეგი საათები:

ა) საგაზეთო კიოსკებში — **10 საათიდან 18 ს. 30 წუთამდე;**

ბ) ვაჟთა და ქალთა საპარიკმახეროებში—**8 საათიდან 01 საათამდე;**

გ) საბავშვო საპარიკმახეროებში — **9 საათიდან 21 ს. 30 წუთამდე;**

დ) ფეხსაცმლისა და კალოშის შემკეთებელ, მზა ტანისამოსის შემკეთებელ და გამაუთოვებელ, საათების, რადიომიმღებების, პატეფონების, საოჯახო ხელსაწყოების შემკეთებელ, ტანისამოსის ქიმიური წესით გამწმენდ და თეთრეულის სამრეცხაო სახელოსნოებში, ფეხსაცმლის, მზა ტანისამოსის და თეთრეულის ინდივიდუალური შეკვეთების მიმღებ სახელოსნოებში, აგრეთვე ფოტოგრაფიებში—**11 საათიდან 19 ს. 30 წუთამდე;**

შენიშვნა: „სოიუზტეხრადიოს" რადიოსახელოსნოში მუშაობა სწარმოებდეს **9 საათიდან 17 ს. 30 წუთამდე,** ხოლო შეკვეთების მიღება და გაცემა—**11 საათიდან 19 ს. 30 წუთამდე.**

14. სადამტარებლო და წონითი ვაჭრობის მუშაკებისათვის (მეხონჩეები, დამტარებლები და სხვ.), რომელთა გამოცხადების დრო დაწესებული არ არის, სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა დააწესონ გრაფიკი (საქონლის მისაღებად ამ მუშაკთა გამოცხადების განსაზღვრული საათები), უზრუნველჰყონ ამ გრაფიკის დაცვა და მუდმივად ადევნონ თვალყური ამ მუშაკების სამუშაოზე რეგულარულად გამოსვლას და მათს მუშაობას.

15. სამრეწველო საქონლის სავაჭრო ყველა მაღაზიები, შეშისა და ნახშირის გასაცემი საწყობები და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, გარდა განუწყვეტლივ მომუშავეებისა, უნდა მუშაობდნენ კვირაობით როგორც ჩვეულებრივ დღეებში, ამასთან სამრეწველო საქონლის სავაჭრო ქსელისა და შეშის საწყობებისათვის დასვენების დღე დაწესდეს ორშაბათობით, ხოლო მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის—სამშაბათობით.

16. დაწესდეს, რომ ის დრო, რომელსაც გამყიდველები დამხმარე სამუშაოებზე ხარჯავენ (საქონლის გამზადება, ჩეკების დათვლა), შედის სამუშაო დროში (8 საათში) და უნდა შეადგენდეს არა უმეტეს სამუშაო დროის 7 პროცენტისა, ამასთან დამხმარე სამუშაოები იქ, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა სწარმოებდეს ხალხთან სამუშაო დროის განმავლობაში, მუშაობაში მომხდარ შეწყვეტათა გამოყენების გზით.

17. დაევალოს მაღაზიების, რესტორანების, კაფეების, საკონდიტროების და სხვა სავაჭრო საწარმოთა დირექტორებს სავაჭრო ბინის შესავალ კართან გამოაკრან ვაჭრობის საათებისა და გამოსასვლელი დღის მაჩვენებელი.

18. ამ დადგენილების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ევალება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ვაჭრობის განყოფილებას, ქ. თბილისის რაისაბჭოებსა და მ/გ მილიციის ორგანოებს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბორგიძე.**
მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხითაშური.**

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

19 ნოემბერს
გიორგი სააკაძე

20 ნოემბერს
ბედნიერება

21 ნოემბერს
სერია მე-2 აბ. მე-3 წარმ.
სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

დედა თეოლინე, შვილები ვალია, კოკი, ვასო, ვენერა, ძმები აპოლონ, ისაკი, ვარლამ, სიძე ვ. ფხაკაძე, დები, რძლები მარგალიტაძეები იუწყებიან

ვასილ ვლადიმერის-ძე მარგალიტაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 19/XI 6 ს. შაუმიანის, 82. 8879

საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ აპოლონ მარგალიტაძეს მისი ძმის

ვასილი ვლადიმერის-ძე მარგალიტაძის

გარდაცვალების გამო.

ახლო მეზობლები ცქიტიშვილი, გოგორიშვილი, მაჭარაშვილი, ჰანტურია, ჯაიანი, ქელიძე, გეგეჭკორი, მიქელაძე, ნიჟარაძე, ნუცუბიძე და ნინუა იუწყებიან

ეკატერინე როსტომის-ასულ ბოკერიას

გარდაცვალებას. 8853

დედა ანა, ქმარი არსენა, შვილი დალი, დები მარიამ, ევა ნინო, თამარ, ეთერი ოჯახებით, ძმები ივანე, ალექსანდრე და შალვა ოჯახებით იუწყებიან

ქეთო ხომასურიძე-ბეჟანიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 19/XI 5½ საათ. გაბაშვილის შესახ., 5.

მშობლები ბაბინე და სიმონ, ძმები ავქსენტი, მიხეილ, გრიშა, ილიკო, ბიძა ილარიონ, ბიძაშვილი რაფიელ გოგეშვილები იუწყებიან

შოთა სიმონის-ძე გოგეშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ნიგოეთში 19/XI.

შვილი ლოლა, სიძე ერმილე ცირდავები, შვილი ზინა, სიძე კლავდი იუწყებიან

არჩევან დავითის-ძე ბოლქვაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 19/XI საღ. 8 ს. ცენტრ. პოლიკლინიკიდან, დაკრძალვა ფოთში 24/XI.

ცოლი ლიზა, დები ელენე, რუსუდან ქმრებით, დიმიტრი, ვასილ, თეიმურაზ საყვარელიძეები იუწყებიან

გიორგი (ჟორა) ოქროაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 19/XI 5½ ს. პასტერის, 10. 8877

ფურცელაძე, ნათელაშვილი, ალიბეგაშვილი, აროშიძე, პავზარაშვილი, მარუკიანი, გიორგაძე, სურგულაძე, გოგიავა, გერგიშვილი, ქარამანი, ფირანიშვილი, ლევიტი, ჩანტლაძე, ფილთაქიანი იუწყებიან ლოგ გაბუნიას ძმის

არტემ გაბუნიას

გარდაცვალებას. 8878

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; პ.-მ. მდივნის მოადგილის—3-06-88, განყოფილებისა: პარტიული—3-57-61, პროპაგანდის 3-81-84, საბჭოთა . მშენებლობის—3-73-40, მეურნეობისა და მეცნიერების—3-80-83, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-80, ინფორმაციის—3-73-24, ხელმოწერისა და განცხადების 3-81-65, გამომცემლობის—51-81. ხაზების დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უჰ 3477